



ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

კვირა, 16 სექტემბერი. 1907 წელიწადი პირველი.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„ს ი ს კ ა რ ი“

გამოდის 1907 წ. 16 სექტემბრიდან, კვირასი ერთსულ. ერთი წლით ღირს 3 მ., ნახევარი წლით 2 მ., ცალკე № 5 კ. განცხადება—წინა გვერდზე პწკარი 10 კ. უკანასკნელზე 5 კ. ფოსტის აღრეხი: *Кумауъ, редакця „Цукару“.*

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ქუთაისი, 16 სექტემბერი.—ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო.—შიმშილის მსხვერპლი, ლექსი ვ. ჩანრუხაძის.—სხვადასხვა ამბები.—ნაწყვეტები წარსულიდან, ივ. გომართელის.—მოღვაწეთა მოღვაწეობა, წელკავის.—ჩვენი ქალაქის თვითმართველობა, გრ. ნასარიძის.—რუსეთი.—უცხოეთი.—სახალხო შკოლა დასავლეთ ევროპაში, ვ. ოზიელის.—კორრესპონდენციები.—წერილი რედაქციის მიმართ.


ქუთაისი, 16 სექტემბერი.

შავი ფიქრები, დღევანდელი მდგომარეობით გამოწვეული, ჯერ კიდევ ბევრს ვერ მოუშორებია თავიდან. ჩვენს ცხოვრებაში თითქოს კვლავ გამეფდა ბნელეთი, საიდანაც ასე თავ-შეუკავებლათ მოისმის სატანისებური ხარხარი, გველური სისინი, შურის-ძიების ძახილი. გამარჯვებას დღესასწაულობენ... დღესასწაულობენ ისინი, ვინც საუკუნოების განმავლობაში სულის შემხუთველ მაჯლაჯუნად აწვა მშრომელ ხალხს, ვინც სხვის ოფლითა და სისხლით განცხრომაში სცხოვრობდა და ვინც ეს ბატონობა ლამის იყო ხელიდან გაუსხლტა.

რამდენათ უფრო დიდი იყო ის შიშის ზარი, რომელიც განმთავისუფლებელმა მოძრაობამ დასცა განებივრებულ კლასს, იმდენათ უფრო ცინიკურია ახლა ის ფერხული, რომელიც დღეს გამართული აქვთ, იმდენათ უფრო ძლიერია ის ჯავრის ყრა, რომელსაც ერთი ხანია შეუდგენ. სადაც ამას წინეთ განთავისუფლების ხმა ქუხდა-გრგვინავდა, დღეს იქ სვაე-ყორნები და სჩხავინან; სადაც ხალხისათვის

მებრძოლნი ენერგიულათ იუშაობდენ, ახლა „სტრაჟნიკები“ დანავარდობენ; სადაც წინეთ ხალხს ძმობა-ერთობისკენ მოუწოდებდენ, იქ ახლა ბეზლობა-ჯაშუშობის ჩურჩული ისმის, იქ დღეს ყველა შეგნებულ ადამიანს სდევნიან, თითქო სურთ თვით აზრი დაპატიმრონ, ის აზრი, რომელმაც მდევნელთა უსამართლო ცხოვრება სინათლეზე გამოიტანა და დაქცევას უქადიდა...

ღიას, ჯერ კიდევ ფართაშობენ ძველი ბატონები... მაგრამ არ დატრიალდება უკან ისტორიის ჩარხი. ჩვენი ქვეყანა პირველი და უკანასკნელი არ არის. ყველგან და ყოველთვის ისე ყოფილა, რომ ჩაგრული ხალხის შეგნებული ბრძოლა ათასგვარ დაბრკოლებას შეჩეხებია, დროებით შეჩერებულა, მაგრამ მერე მაინც ყველა წინააღმდეგობა წაუღეკია და გამარჯვებული წინ გაქანებულა. ეს არის ყველა ქვეყნის ისტორიული ბედისწერა და ასე იქნება იქაც, სადაც ჩვენა ვცხოვრობთ. ამიტომ ვერც აქ გამაგრდება ძველი ბატონობა. მდიდარი რომაელები ამბობდენ ხოლმე, მონებ-მეფე რომ თავიანთი რიცხვი გაიგონ—დავიღუპებოდა. ეს ბედი მათ კიდევაც ეწიათ. ჯერა



ახლა ჩვენი დროის მონებზეა მიჰდვარი—მუშებზე და უმწეო გლეხობაზე. ამათაც იწყეს 1905 წელში თავიანთი რიცხვის თვლა, და ამიტომ იყო, რომ ძველი დაშორებულ დაწყებული ცხოვრება, ერთი მუჟა მუჟთა-ხორასათვის მოჩარხული, შეირყა ძირიან-ბუღიანათ. დღეს უმთავრესი საქმე გაკეთებულია: ძველი წეს-წყობილების ზიზღი და მძულვარება ხალხს საკმაოთა აქვს შესისხლქორცვებული. და თუ იმის წინაშე ჯერ კიდევ აპართულია ტლანქი, იარად-შესხმული ფიზიკური ძალა, ეს დაბრკოლება ადვილათ მტვრად იქცევა მაშინ, როცა ჩაგრულნი თავის ძალას გააერთიანებენ. ეს კი არც ისე ძნელია..

ამიტომ ჩქარობენ ისინი, ვინც, ქარტახლის ჩადგომით მოტყუებული, ხალხის განმთავისუფლებელ მოძრაობას, დაცინვით, „უწვევრ-ულვაშო ბიჭ-ბუჭების რევოლიუციას“ ეძახის. ცისკარი, რომელმაც სამი წლის წინეთ ჩაგრულ ქვეყანას ამოაშუქა, მალე ხალხის გამარჯვების მხეთ ამოცურდება და ცხოველმყოფელ სხივებს მოფენს არე მარეს.

მაშინ ვნახოთ, საბოლოოთ ვინ გაიცინებს...



ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო.

ილია ჭავჭავაძის მხეცურმა მკვლელობამ ყველანი გულის სიღრმემდე აგვაშფოთა, ყველა ჩვენგანის უწმინდესი გრძობები შებღალა, თუმცა, შეიძლება, ეს გრძობები, ზოგიერთ ფარისეველსავით, მყვირალა აფიშათ არ გამოგვიფენია...

იშვიათია ისეთი საშინელი ს.ზიზღრობა, როგორც მსკოვანი მგოსნის მოკვლაა, მაგრამ კიდევ უფრო უმაგალითოა ის ზნეო რივი განზრწილება, რომელმაც საერთო მგლოვიარობის შავ ზეწარს თავი ამოაფარა. კიდევ მეტი.

ილიას მკვლელები მხოლოდ შესაბრაღისა არიან, ვინაიდან ისინი ღვიძლი შვილი არიან ღღევანდელი უსამართლოთ მოწყობილ ცხოვრებისა, რომელშიაც მათ გონებრივი სინათლე ვერ მოუპოვებიათ და, შურის ძიებით, თუ ანგარებით შეპყრობილთ, შემადრწუნებელი საქმე ჩაუდენიათ.

გაცილებით უფრო მძიმეა ის ვერაგული ბოროტება, რომელიც ყველა ჯურის ნაციონალისტებმა ილიას ცხედრის გარშემო დაანთხიეს. საქართველოს უკიდურესმა რეაქციონერებმა, მონარხისტებმა „პოგრომშიკებმა“, უბრალო ავტონომისტებმა და ისარისებურმა „სოციალისტებმა“, რომლებიც ვი-


თომ ილიას გლოვდენ, ნამდვილათ კი ილიას სანდოა ბოროტათ სარგებლობდენ, კლასობრივი, პარტიული თუ პირადი ანგარიშის გასასწორებლათ, ყველამ ერთათ—ვინ აშკარათ, ვინ ლაჩრული ქარაგმებით, ვინ გაზეთში, ვინ ცალკე ფურცელში და ვინ ყურში ჩურჩულით, მორთეს განგაში: ილია ჭავჭავაძე სოც.-დემოკრატებმა მოკლესო.

სად და როდის მოკლეს სოც.-დემოკრატებმა იდეური მოწინააღმდეგე, რომ ქართველ სოც.-დემოკრატებს მოეკლათ? და მერე ვინ?—ილია ჭავჭავაძე, სახელოვანი პოეტი, პროგრესიული მოაზრე და ისიც—სიკვდილის პირზე მიმდგარი მოხუცი, რომელიც კაი ხანია განზე გამდგარი იყო და გამწვავებულ საზოგადოებრივ ბრძოლაში მონაწილეობას აღარ იღებდა! პოლემიკა, ხშირათ მწვავე და დაუზოგველი, ყოველთვის ყოფილა და იქნება ძველსა და ახალ თაობას შორის, რადგან ეს საშუალებაა ძველი ავტორიტეტების დაცემისა და ახალი მოძღვრებისთვის გზის გაკაფვისა. მაგრამ განა ეს „ბზბოს მისისინებას“ ნიშნავს— „ჰკა მაგათო“? განა „კვალი“ არ იყო, რომ ილიასთან თუმცა მართლაც გაცხარებული კამათი ქონდა გამართული, მაგრამ, როცა განსვენებულმა საზღვარ-გარეთ საექიმოთ წასვლა დააპირა, სოც.-დემ. გაზეთმა მწუხარებით აღნიშნა მისი ავანტიურა და გულწრფელათ უსურვა ადრე დაბრუნება სამშობლოში ჯანმრთელათ *).

მაშ, რით აიხსნება, რომ რამოდენიმე დღე, საზიზღარ ინსინუაციებს, საშინელ ცილის წამებას ასისინებდენ სოც.-დემოკრატების წინააღმდეგ?

ეს ათ წელიწადზე მეტი იქნება, რაც სოც.-დემ. პარტია ხალხის ცხოვრების შიგ შუაგულში შეაქრა, ჩაგრულთ ღღევანდელი უკუღმართი საზოგადოებრივ წეს-წყობილების უკუღმართი საძირკველი დაანახვა და ამისი დაქცევის მთავარი ღერძიც—კლასობრივი ბრძოლა—ხელში მისცა ადვილი გასაგებია, რომ ყველა ისინი, ვის სასარგებლოთაც ძველი ჭაობა არსებობს, მოსისხლე მტრებათ მიიჩნევდენ სოც.-დემოკრატებს და არავითარ სისაძაგლეს არ დაერიდებოდენ იმათთან ბრძოლაში, იმათი სახელის გასატეხათ. ამიტომ ჩვენ კარგათ გვესმის, როცა მემამულე თუ კაპიტალისტი, თავადი თუ აზნაური, მღვდელი თუ ბერი, მოხელე თუ სხვა ვინმე მუჟთა-ხორა, ცდილობენ ყოველივე შემთხვევით ისარგებლონ, რომ გული იყარონ იმათზე, ვინც მათ საფრთხეს უქადის. ამიტომ არ გვიკვირს, როცა თავადნი ვლად. მიქელაძეები, ილია ჩიქოვანები და მისთანები თავის სიტყვებში თუ ღებებში

*) „კვალი“ 1900 წ. № 24.



სხვის გახრწნილებაზე ლაპარაკობენ მაშინ, როდესაც თვით ამ ვაჟბატონების ცხოვრება უკიდურესი გახრწნილების განხორციელებაა.

ილია ჩიქოვანები და ძმანი მათნი, რომელთა სახელის გაგონებაზე ვინ იცის რამდენი სხვერპლი არ წამოგიდგება თვალწინ იმათი გარყვნილი ცხოვრებისთვის შეწირული; მიქელაძეები, რომელთაც სამშობლო და ეროვნება მხოლოდ მაშინ გაახსენდებათ, როდესაც ჩვენში არჩევნები დაიწყება; ჩიქოვანები და მიქელაძეები, რომელთაც საქართველო იმდენათ სწამთ, რამდენათაც იმათი პირუტყვეული ცხოვრება საწყალ ქართველ ხალხს კარგათ მოუწყვია, — აი ასეთი ვაჟბატონები, რომლებიც ბნელ სიბრტყეში უნდა იყვნენ ჩამძვრალნი, ბედავენ ილია ჭავჭავაძის სახელის ხსენებას იმ აზრით, რომ ერთხელაც არის წიხლი წაკრან იმათ, რომლებმაც ისინი დიდი ხანია ჩაქოლეს.

გვესმის აგრეთვე ბ-ნ. გოგებაშვილის გალაშქრება „ბნელეთის ნაბიჯვრების“ წინააღმდეგ: ძაძქედა ახალ თაობით უკმაყოფილება ყველა „მიმავალთა“ ხვედრია.

გვესმის ბ-ნთ ღუტუ მეგრელებისა და ვაჟაფშაველათა საქციელიც: იმათთვის ქართველი ხალხი მაშინ არსებობს, როცა ლექსებსა სწერენ, საქმით კი ჩვენი ხალხისგან ისე შორს არიან, როგორც ჩინეთის ბოგდინი.

არ გვიკვირს არც ბ-ნ Bâton-ის მიერ სისულელის როტვა, ვინაიდან თვითონ გამოტყდა, რომ „თავში აზრები ერევა და ფეხთაგან ნიადაგი ეცლება.“

ჩვენ ვეკითხებით მხოლოდ იმ „პრინციპების“ ჭურჭელს, რომელსა შინა მჯდომარეთ თავისი თავი „ნამდვილ სოციალისტებათ“ მოაქვთ: შესაწყნარებელია თუ არა ზნეობის მხრივ, ან პრინციპის მხრივ ის ყოვლათ უმზავსო კომპანია, რომელიც მათ ილია ჭავჭავაძის ცხედრის გარშემო გამართეს იდეურ მოწინააღმდეგეთა სახელის გასატყუებლად? დარცხენილი „ისარი“ ახლა ამბობს, არაფერი მაგისთანა არ გვითქვამსო. ტყუილია ეს: განა „ისარი“ არ იყო, რომ რედაქციის მხრივ სიტყვის უთქმელათ, შენიშვნის გაუკეთებლათ, მრავალი წერილები თუ ლექსები იბეჭდებოდა, სადაც აშკარათ თუ ქარაგმით სოც.-დემოკრატიებისკენ ხელს აშვერდენ: აჰა, მაგათ მოკლეს ილია ჭავჭავაძე, შურის ძიება, შურის ძიებაო?

შეურაცხვეს, ვინ იცის რამდენი ათი ათასი ქართველი მუშა, რომელთაც სოც.-დემ. მოძღვრება შესისხლხორცებული აქვთ, შეურაცხვეს საზოგადოარი ცილისწამებით, ვინ იცის რამდენი ასი თუათა-

სი ხალხისთვის თავდადებული გულწრფელი მებრძოლნი, რომელნიც, სოც.-დემოკრ. მოძღვრების გავლენით, უდროოდ ცივ სამარეს მიბარებიან და დღესაც ბნელ-ნესტიან ციხეებში თუ შორეულ ქვეყნებში, ხალხისთვის ღპებიან.

შეურაცხვეს...

და დღეს „ისარი“, პილატესავით, ცოდვილ ხელს იბანს...



შიშვლის მსხვერპლი.

საბრალო ბესო გუშინ მთელს დღეს დაწაწალობდა,

სამუშაოსა დაეძებდა, მისთვის წვალობდა, მაგრამ არ იქნა, ვერ იშოვა, მოუყვდა გული, მწარეთ აკვნესდა მწუხარების ცეცხლ მოდებული. ან კი საბრალო აბა ვით არ აკვნესდებოდა, როცა ცოლ-შვილი შინ მშვიერი ეგულებოდა!

დასალამოვდა, მზემ სხივები შეათამაშა, მთისა მწვერვალსა თავს დაადგა, ააკაშკაშა. ქალაქის ბაღში მუსიკამაც დაიგრილა და სანეტარო ხმამ ჰაერში გაიწკრიალა. ხალხი ქუჩაში გამოვიდა, გამოეფინა, რომ გაერთოს აქ, მან დროებით დაავდო ბინა. მხოლოდ ბესომ კი ისევ მწარედ ამოიგმინა და თვალებიდან ცხარე ცრემლი გადმოედინა. მას შეეზიზლა იქაობა, ის არემარე და ვზას გაუდგა შინისაკენ — სახე მწუხარე.

მიდის, თან ფიქრობს: „რა ჭრელია ჩვენი


ცხოვრება:

ზოგი ნეტარობს, ზოგს სულს აძრობს ტანჯვა-წვალება, ვინც რომ არაფერს არ აკეთებს — განცხრომაშია, ვინც წელს იწყვეტავს, შრომის ოფლს დვრის — მას მუდამ შია!..

როდის დადგება დრო ნეტარი, დრო დიდებული, ყველას ექნება თანასწორი უფლება, პური; აღარ იქნება ასი მონა, ერთი ბატონი, ყველა იქნება თავის თავის სრული პატრონი.“

მიადგა ქოხსა. სურს შევიდეს, შეაღოს კარი, მაგრამ შიგნიდან მოესმა ხმა, ვით გლოვის ზარი: — მშია, დედიკო, მშია, პური მომეცი მალე! — მოიცა, შვილო, ცოტა კიდევ, შენ გენაცვალე; აწ საცა არის მოვა მამა, მოიტანს პურსო და გამოვიძღებთ, ჩემო კარგო, ცარიელ კუქსო. და ამ სიტყვებმა გული კიდევ უფრო მოუკლეს.

„სიკვდილი არ სჯობს ამ გვარ ჯაფას, ამ გვარ სი-ცოცხლეს!“



ამოიკვნესა და მიეყრდნო იქვე კარებზე და დიდხანს, დიდხანს ქეითინებდა ცრელით თვალეზზე! მერე შებრუნდა როგორც მხეცი გაშმაგებული, და ქალაქისკენ გასწია კვლავ აჩქარებული, დახვდა მომავალს, გაუყარა მკერდში მახვილი, იქვე დააგლო მომაკვდავი, სახელში მოსვრილი! ამოაცალა თუ რამ ქონდა უბე-ჯიბაში, და სურდა ხელათ გამქრალიყო ღამის წყვილადში, მაგრამ მოუსწრო და შეიპყრო ქუჩის დარაჯმა... და დღეს კი უკვე ჩამოახრჩო იგი ჯალათმა!

ვ. ჩაბრუყაძე.



სხვადასხვა ამბები.

*** ქალაქის პირველ დაწყებით შკოლის მასწავლებლებმა გადასწყვიტეს გვირგვინის ნაცვლათ განსვენებული მგონის, ილია ჭავჭავაძის სახსოვრათ შესწირონ განზრახული ფონდის გასაძლიერებლათ 32 მანეთი.

*** რუსთა კურიაში არჩევნები დანიშნულია 24 სექტემბერს. ასარჩევია ერთი ვიბორშიკი.

*** როგორც გავიგეთ, ქუთაისის სოციალ-დემოკრატები უკვე შესდგომიან საარჩევნო კომპანიას.

*** პირველი სათათბიროს ყოფილ დეპუტატს სერგ. ჯაფარიძეს ამ დღეებში ჩააბარეს ბრალდების ოქმი ცნობილი „ვიბორგის მოწოდებისათვის“.

*** დღეს, საღამოს 8 საათზე ქალაქის თეატრში, ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატრესაცემლათ, წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა პიესები, თვით განსვენებული მწერლის თხზულებებიდან ამოღებული.

*** წარმოდგენების სეზონი ქუთაისში 23 სექტემბერს დაიწყება.

*** ამ დღეებში ქუთაისის საგუბერნიო პრისუტსტიემ გამოუცხადა ბ-ნთ ი. ნიკოლაი-შვილს, გ. ნასარიძეს და ი. კაკაბაძეს, რომ მათი თხოვნა ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის გახ.ნის ნებართვის შესახებ პრისუტსტიეს არ შეუწყნარებია იმ მიზეზით, ვითომ მათ-მეგრ წარმოდგენილი წესდება არ ეთანხმებოდეს კანონს. ეს წესდება თრ.ტჰმის სიტყვა-სიტყვით გადაწერილი იყო მთავრობის-მეგრ დამტკიცებული თფილისის და ბათუმის წესდებებიდან, და ჩვენ არ კვესმის, აქ რა დაბრკოლება გადაეღობა მას წინ. ეს პირველი მაკალითი არ არის. ქუთაისის ნოქრები, ქიათურის მუშები და სხვები ეს რამდენი ხანია წვალობენ კავშირის ნებართვის ასაღებათ. მაგრამ ამათ.

*** შაბათს, 22 სექტემბერს, ქალაქის გამგეობის ყოფილ სადგომში დანიშნულია სახელმწიფო

სათათბიროს არჩევნები ქალაქ ქუთაისში. ასარჩევია 3 ვიბორშიკი. პოლიცია წინდაწინ დაარიგებს უწყებებს და საარჩევნო კონვერტებს უბრავის ბეჭედ დასმით; თუ პოლიციიდან ვერ ჩაიბარეს დროზე, მაშინ თვითონ ამომრჩეველმა უნდა შეეცადოს ასეთების მიღებას პოლიციაში და არჩევნების დღეს თვით საარჩევნო დარბაზში; მხოლოდ ამისთვის საჭირო იქნება პიროვნების მოწმობა (პოლიციის ან მღვდლის). უწყება ამომრჩეველმა უნდა წარადგინოს არჩევნების დღეს, რომ შეუშვან დარბაზში. კონვერტში კი სდებს კანდიდატების ბიულეტენს, ბეჭდავს და აგდებს ყუთში. კონვერტები სუფთათ უნდა იქნეს შენახული.


*** 13-ს ამ თვეს სოფელ ბაღდათში მოხდა ბაღდათის უბნის წვრილ მემამულეთა წინასწარი კრება რწმუნებულთ ასარჩევათ. 872 ამრჩეველთაგან კრებას დაესწრო მხოლოდ 63 კაცი. ასეთი მცირე რიცხვი დამსწრე ამრჩეველთა აიხსნება მით, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციას სრულიათ არ უცნობებია მემამულეთათვის კრების დრო. ამ 63 კაცს დიდი ჯახრიკით და წვალებით მოუყარეს თავი არჩევნებით დაინტერესებულმა პირებმა. კრების თავმჯდომარემ, დავით ნიჭარაძემ, წინადადება მისცა ამრჩეველთ დაესახლებიათ კანდიდატები (ასარჩევი იყო სულ 8 რწმუნებული). დასახელეს 19 კანდიდატი, რომელთაგან ხმის უმეტესობით არჩეულ იქნენ:

ვიკ. ჩიქვაძე, მალხაზ გოგოძე, თენგიზ ერისთავი, სინო ჩხეიძე, ავაბო ჭუმბურიძე, სილ. ლაქყვიანი, ვარლამ დემეტრაძე, ვასილ საკანდელიძე. არჩეულთაგან 3 გამოურკვეველია, 5 მემარცხენე პარტიის მომხრენი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი ბოქაული თავისი დარაჯით საარჩევნო ყუთებს არ მოშორებია. არჩევნების გათავებამდის „სტრაჟნიკი“ ყუთებს კონტროლს უშვებოდა, დარჩა თუ არა შიგ სიმიდის მარცვლებიო.



ნაწყვეტები წარსულიდან.

თუმცა ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, როგორ ცხოვრობდა ადამიანი უძველეს დროს ისტორიის წინა ხანებში, მაგრამ სხვადასხვა ისტორიული ნაშთი დღევანდელი ველური ერების ზნე-ჩვეულებისა და ყოფა-ცხოვრების შესწავლა გვიმტკიცებს, რომ ძველათ საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს შეადგენდა საერთო საკუთრება, ანუ კომუნიზმი. კაცობრიობა მაშინ ცხოვრობდა სხვადასხვა ჯგუფებათ, ანუ თემებათ. თვითეულ თემს ყავდა თავისი





უფროსი; სიმდიდრე, სიღარიბე, ჩემი, შენი—რა იყო, მაშინ ადამიანმა არ იცოდა, —ამგვარ მოვლენას ცხოვრებაში ალაგი არ ქონდა, და ამიტომ ადამიანის აზროვნებაშიც მისი შესაფერი ცნებაც არ იყო; ყველა ამათ ნაცვლათ მაშინდელი ერების ენაზე იყო ერთი სიტყვა—**ჩვენა** და ამ ცნებას ცხოვრებაში შეეფერებოდა საერთო საკუთრება: ყოველივერი ეკუთვნოდა ყველას და არავითარი კერძო საკუთრება არ არსებობდა. ერთისაგან მეორის გაყვლეფა რა იყო, მაშინდელმა კაცობრიობამ არ იცოდა; მაშინ ერთ მშრომელს ორი და სამი მუქთა-ყლაპია არ აჯდა ქინჩში, როგორც დღეს. ყველას უნდა ეშრომა, რადგანაც უშრომელათ თავს ვერაფერ ირჩენდა. ყველა ერთმანეთისათვის შრომობდა და თვითეული ყველასათვის. ბატონი და ყმა, თავადი და გლეხი, მუშა და ალა მაშინ არსად იყო: ყველა ტოლი იყო და ყველა სწორი. ამ უძველეს დროს მე სრულებითაც არ ვუყურებ შურის თვალით და არც შევნატრი მას; ეს არ იყო ოქროს საუკუნე, როგორც შემდეგ ფილოსოფოს რუსსოს ქონდა წარმოდგენილი, და არც უზრუნველი ცხოვრება პირველი ადამიანისა ედემის ბაღში, როგორც ამას საღვთო წერილი აგვიწერს. ადამიანი განუვითარებელი იყო, შეუზნებელი, უძლური, ბუნების სრული მონა. ერთი თემი მეორეს ეჩხუბებოდა საზრდოს გულისათვის. დამარცხებულებს უწყალოთ ხოცდენ და ხშირათ სჭამდენ კიდევ,— ერთი სიტყვით ეს იყო ხანა ბარბაროსობისა, მხეცობის, მარა საქმეც სწორეთ იმაშია, რომ მაშინდელი ბრიყვი ადამიანი ზოგიერთის მხრით იმდენათ მხეცი მაინც არ იყო, რამდენათაც დღევანდელი კულტუროსანი ბატონები, და მაშინდელ ველურთა საზოგადოებაში ქონების განაწილების მხრით ისეთი სამართლიანობა სუფევდა, როგორიც დღეს ცხოვრებაში კი არა, სიზმარშიაც აღარ არის.

ადამიანის უპირველესი მტერი ის იყო, ვინც ყველაზე უმაღლ კერძო საკუთრება შემოიღო, სთქვა ერთმა ფილოსოფოსმა. კაცობრიობის ისტორიის შესწავლა ამ აზრს საუცხოვოთ ამტკიცებს. თუ ერთობა და თანასწორობა არსებობდა უძველეს დროს ველურთა საზოგადოებაში, როცა ცხოვრება დამყარებული იყო საზოგადო საკუთრების პრინციპზე, ცხადია, ამ ნიადაგზე რომ განვითარებულიყო კაცობრიობის ცხოვრება, ერთობა, თანასწორობა და საზოგადოებრივი სამართლიანობა თანდათან გამტკიცდებოდა, გაძლიერდებოდა, რაც უფრო წინ წავიდოდა ადამიანი და დღეს ქვეყანაზე საერთო ბედნიერება იქნებოდა. ჩვენ ყველას ერთმანეთში ძმური განწყობილება გვექნებოდა, საერთო შრომით ავაყვავებდით ცხოვრებას. მარა ნაცვლათ ამისა პი-

რადი სარგებლობის მეტი არაფერი აკავშირებს ერთმანეთთან უმრავლესობას; ერთი სახლს იშენებს თავისთვის, მეორე კარმიდამოს უმატებს და აფართოებს, თითქო უკვდავების პასპორტი ჯიბეში ედვას; მესამე დილიდან საღამომდე სხვებს ატყუებს და ყვლეფავს, ღამე კარებს ჩაიკეტავს, ფულებს ითვლის და სიამოვნებით ტუჩებს ილოკავს,—დღეს ამდენი გავაკეთო, ე. ი. მოვიგეო; მეოთხე ყოველ დღე ნატრობს: როდის მოკვდება ჩემი უშვილო ნათესავი, რომ მისი ქონება მე დამრჩესო. ყველა ერთი მეორეს ატყუებს, ერთი მეორეს ცარცავს, ერთი მეორეს ჩაგრაავს; ერთი რომ მეორის უბედურებას გაიგონებს, თუ არ იამება, არც ეწყინება და გულში უხარია: მადლობა ღმერთს, რომ მე არ დამემართაო. ამგვარი ცხოვრება ადამიანს არა თუ ამცირებს, არცხვენს კიდევ და ამ სირცხვილის საშინელებაც სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ ათასი ეცადოთ, თავიდან ვერ აიცილებთ: ცხოვრება ყველას უნდა და დღევანდელი ცხოვრება კი იმგვარ პირობებშია ჩაყენებული, რომ ყოველმა ადამიანმა ძალაუნებურათ უმაღლ თავისთვის უნდა იზრუნოს, თორემ მისთვის სხვა არაფერ განძრავს თითს.

რათ მოხდა ყოველივე ეს? პირვანდელი ერთობა, თანასწორობა და სამართლიანობა რატომ არ გაძლიერდა მოსპობის ნაცვლათ? იმიტომ რომ საზოგადო ცხოვრებას საფუძველი გამოეცვალა: საერთო საკუთრების ნაცვლათ კერძო საკუთრება აღორძინდა, გავრცელდა, გაძლიერდა, გამეფდა. ამგვარი ცვლილება უბრალო შემთხვევის, ან ადამიანის ჟინიანობის ნაყოფი კი არ არის, არამედ აუცილებელი შედეგია ცხოვრების განვითარების. ადამიანი რომ ერთბაშათ დიდი ჭკუითა და ცოდნით გაჩენილიყო დედამიწაზე და პირვანდელი კომუნისმის ხანაშივე გამოეგონებია ორთქლისა და ელექტრონის მანქანები და იარაღები ბუნებასთან საბრძოლველათ, მაშინ ადვილი შესაძლებელია, კერძო საკუთრება არ განვითარდებოდა და კაცობრიობა მონობის, ბატონყმობის ყვლეფისა და სიღატაკის გამოუცდელათ აშობიებდა თავის ისტორიას საერთო ბედნიერებას და კმაყოფილებას; მაგრამ ადამიანი არის ის, რაც არის, როგორც ერთმა ფილოსოფოსმა სთქვა,—არც მეტი და არც ნაკლები; ამიტომ ადამიანმა შექნა საზოგადოებრივი ცხოვრება იმგვარი, როგორიც მას შეეძლო; ისე რომ ყოფილიყო და არა ასე, რა კარგი იქნებოდაო,—ამგვარი მსჯელობა ძალიან შორს წავიყვანდა ნატურა-ოცნების სამთავროში. ბუნებას ადამიანი ბევრათ უკეთესი და მძლავრი რომ გაეჩინა როგორც ხორციით, ისე გონებით, კაი დაგემართოსთ. კარგი ეს იქნებოდა, მაგრამ სულაც რომ არ

თარგმანი
პროფ. ი. ბერიძის


გავეჩინეთ, რა ძალა გვექონდა? დეე ბევრი სიმწარე იყო დღევანდელს ცხოვრებაში, — მით უფრო ძლიერი იქნება ის სიტუბოება, რომელსაც ტანჯული კაცობრიობა მოიპოვებს მძიმე ბრძოლით, მწარე ოფლით.

მაშ რა მიზეზებმა გამოიწვიეს პირვანდელ კომუნისტურ ცხოვრებაში კერძო საკუთრების აღორძინება?

უძველესი ადამიანი მოკლებული იყო ბუნებასთან საბრძოლველათ ყოველგვარ იარაღს. უმალ მოიგონა მან ხის იარაღი — ჯოხისა და კეტის ხმარება; შემდეგ ქვის იარაღი, შეილდ-ისარი, თიხის კეთება და ბოლოს რკინეულობის გამოქვეყნაც ისწავლა. ამ მარტივი იარაღების ამარა იყო დიდხანს ადამიანი. მან ისწავლა მიწის დამუშავება, სხვადასხვა ძირიანი ბალახების მოყვანა და ხორბლეულის თესვა. მიწის მუშაობამ მინათა შესცვალა უძველესი საზოგადოება, ჩვენს დროს მსხვილმა წარმოებამ მრეწველობაში წვრილი წარმოება დაამარცხა, გადევნა და ამიტომ ცხადი გახდა სხვილი წარმოების უპირატესობა მრეწველობაში. სულ სხვა სურათს წარმოადგენს მეურნეობა; სხვილმა მეურნეობამ ჯერ ვერ დაამარცხა წვრილი მეურნეობა, რომელიც ყურსაც არ აპარტყუნებს და არა ფიქრობს სხვილი კაპიტალის წინაშე ქედის მოხრას. თუ დღეს ფულს, ცოდნასა და მანქანას წვრილი მეურნეობის დამარცხება უჭირთ, უძველეს დროს შესაძლებელი იყო მხოლოდ წვრილი მეურნეობა. წვრილი მეურნეობისათვის საჭიროა ცოტა. მუშა ხელი და პატარა მიწა. მაშინ მიწა ცოტა იყო ხალხის სიცოტავის გამო, და ამიტომ ყოველმა ოჯახმა შემოიფარგლა თავისთვის საჭირო მიწა და დაიწყო საკუთარი მეურნეობა. ამგვარათ ჩაიყარა კერძო საკუთრების საძირკვლები. ხალხი გამრავლდა; კარგი მიწების რიცხვი შემცირდა; ყველა თავის საკუთრებას დაუდარაჯდა; შეიქნა დავა მიწის გამო, ცარცვა-გლეჯა, წართმევა, მტაცებლობა, ჩხუბი, მიწით ვაჭრობა. ზოგმა აღებ-მიცემობით შეიძინა კარგი მიწები, ზოგმა ძალღონით და ამგვარათ კერძო საკუთრებამ ადამიანი ადამიანს დაუპირდაპირა, გადაამტერა და სიმდიდრე და სიღარიბე წარმოშობა. მდიდარმა ღარიბი დაიბრიყვა და დაჩაგრა. თავი იჩინა უთანხმოებამ, უკმაყოფილებამ და უთანასწორობამ. უსამართლობამ ფრთები გაშალა და ატყდა საშინელი სისხლის ღვრა; ღარიბი მდიდარს ეჩხუბებოდა, მდიდარი ღარიბს, ერთი ერი მეორეს და დამარცხებულებს შეუბრალებლათ ხოცავდნენ ახალგაზდა ქალებს გარდა. რადგანაც ხალხის ცხოვრებისა და სიმდიდრის უმთავრესი წყარო უძველეს დროს მიწა იყო, ბევრს აეძრა სურვი-

ლი რაც შეიძლება მეტი ადგილ მამულის შექმნისა; ბევრმა კიდევ შეიძინა, მარა ვერ მოიხმარა, რადგანაც დღევანდელი მანქანები მაშინ არ იყო და დიდი ადგილების დასამუშავებლათ ბევრი მუშა ხელი იყო საჭირო. პირველ ხანებში მდიდრები ღარიბებს იჯარით აძლევდნენ მიწებს და უძველეს სახელმწიფოებში თავდაპირველათ ამგვარი წესი იყო გავრცელებული, მარა დაკვირვებამ და ცდამ ამოაჩინა, რომ მონების შემწეობით მიწის დამუშავება გაცილებით უფრო სასარგებლო იყო, ვიდრე იჯარით გაცემა. მაშინ აღორძინდა და სწრაფათ გავითარდა მონობა და მონებით ვაჭრობა. მონების შესაძენათ ასტყდა ომი და სისხლის ღვრა. დამარცხებულებს თუ წინეთ ხოცავდნენ, ახლა მონებათ იტოვებდნენ, ან ყიდდნენ. მონებით ვაჭრობა უწინ ისე იყო გავრცელებული, როგორც დღეს საქონლით ვაჭრობა. კართაგენელი ვაჭრების უმთავრეს შემოსავალს მონები შეადგენენ. მონების რიცხვი ბოლოს იმდენათ გამრავლდა, რომ ისინი კიტრის ფასათ იყიდებოდნენ: თითო მონა მანეთათ, ან ექვს აბაზათ!

ამგვარათ მონობის წყაროა ომი, ხოლო მისი წარმომშობი მიზეზი — მიწის მუშაობის ზაფარითობა და ამავე დროს სამეურნეო მანქანების უქონლობა. ძველ რომსა და საბერძნეთში სამეურნეო ტენიკა რომ გავითარებულიყო, მონობას იქ ალავი არ ექნებოდა, მარა ამგვარი ტენიკის უქონლობის გამო ძველ რომსა და საბერძნეთში მონობა საშინლათ გავრცელდა. საბერძნეთში მონობის რიცხვი თავისუფალ მცხოვრებლებზე ექვსჯერ მეტი იყო. ამ ურიცხვი მონების შრომამ შექნა ძველი საბერძნეთის კულტურა და გადააქცია ათინა ერთ უშვენიერეს ქალაქათ. მონების გამრავლებამდე მდიდარი მემამულენი გლეხებს აძლევდნენ თავის ადგილებს დასამუშავებლათ და ამგვარათ სოფლის გლეხობა ლუკმასა სჭამდა. მარა, როდესაც მონების რიცხვი გამრავლდა და მონა საშინლათ გაიფუდა, მდიდარმა ბერძნებმა ათასობით გაიჩინეს საკუთარი მონები და მათ ამუშავებებდნენ თავის ადგილებს. სოფლის გლეხობა ულუკმა-პუროთ დარჩა, გაპროლეტარდა და მოაწყდა ქალაქებს სამუშაოს საძებნელათ. ათინა მშვიერი და ლატაკი ხალხით აივსო, მარა გარეულ მტრებზე გამარჯვებისა და ვაჭრობის განვითარების წყალობით ათინის ხაზინა ძალიან მდიდარი იყო. მთავრობამ დააწესა საზოგადო სამუშაო ქალაქის გასაშვენიერებლათ და საქმე ყველას გაუჩინა. ათინა ძლიერი იყო, მდიდარი და ამიტომ უმიწაწყლო გლეხობის მდგომარეობაც რიგიანი იყო. ხაზინა ისეთ კარგ მდგომარეობაში იყო, რომ ხალხს თეატრში წასასვლელათ თვითონ მთავრობა აძლევდა ფულს,



რასაც თეორიკონს ეძახდნენ. შემდეგ და შემდეგ უხე-
 ირო მთავრობამ ხაზინა მალე დააცალიერა, საბერ-
 ძნეთი დაეცა და ღარიბების მდგომარეობა აუტანე-
 ლი შეიქნა. ძველი ათინის დაღუბვის მიზეზი იყო
 მისი პოლიტიკური წყობილება. ათინაში იყო 300,000
 მცხოვრები; აქედან მოქალაქეთ ითვლებოდა მხოლოდ
 თოთხმეტი ათასი ე. ი. მთელი მცხოვრებლების
 მხოლოდ ოცდამეორე ნაწილი; ქვეყნის საქმეს განა-
 გებდა ეს მცირე ნაწილი; ეს სწყვეტა ყოველ გვარ
 სახელმწიფო საქმეს, — უმეტეს ნაწილს მცხოვრებლე-
 ბისას კი არაფერი არ ეკითხებოდა. ამგვარ პირო-
 ბებში დიდი მნიშვნელობა და გასაგალი ქონდა ფულს.
 გამასპინძლებას, მექრთამობას და მოყიდვას. რო-
 მელიმე მდიდარი და ამპარტავანი პირი მოიყიდიდა
 ფულით ან მასპინძლობით მოქალაქეთა ბრბოს და,
 რაც თვითონ სურდა, იმას გადაწყვეტიებდა. ქვეყ-
 ნის საქმეს ხან ერთი მდიდარი ატრიალებდა, ხან
 მეორე. თუ რამდენათ დაეცა და გაიხრწნა ამგვარ
 პირობებში ხალხი ზნეობრივათ, ამტკიცებს ფილო-
 სოფოსი დიოგენი; ის დღისით ანთებული ფარნით და-
 დიოდა ყველგან და ვინც დაეკითხებოდა გაკვირვე-
 ბული, დღე ფარანი რათ გინდაო, კაცს ვეძებო,
 უპასუხებდა. მაკედონელი მეფე ფილიპე, რომელ-
 მაც შემდეგ საბერძნეთი დაიპყრო, ხშირათ იტყოდა
 ხოლმე: საბერძნეთში საუკეთესო სარდალი ოქროთი
 გატენილი ტომრით დატვირთული ვირია, ამგვარი
 სარდლით მთელი საბერძნეთის დაპყრობა შეიძლე-
 ბაო. ამგვარ პოლიტიკურ გათახსირებას მიემატა
 სპარტანელებთან ომი, რომელმაც ათინა მიწასთან
 გაასწორა, ხაზინა დაიფუკა; მუშა ხალხი ულუკმა-
 პურით დარჩა. სილატაკე, შიმშილი და მასთან ერ-
 თათ ზნეობრივათ დაცემა და გარყვნილება საშინ-
 ლათ გაიზარდა.

ღარიბების გამოსარჩლება და სამშობლოს გა-
 დარჩენა სრული დაღუბვისაგან განიზრახა ფილო-
 სოფოსმა პლატონმა, ბრძენმა ბრძენთა შორის, ღვთა-
 ებრივმა კაცმა, როგორც მას მისი თანამედროვენი
 ეძახდნენ.

(შემდეგი იქნება)

ივ. ზომართელი.

კატარა ფელეტონი.

მოღვაწეთა მოღვაწეობა.

ქუთაისში, როგორც ყველგან, სხვა და სხვა
 სოის მოღვაწეებია. არიან პირველ ხარისხოვანნი,
 მთავარ-მთავარი მოღვაწეები, ბურჯნი საქართვე-

ლოსანი, მეორე ხარისხოვანი და ისე, ტუფილი მოღვაწე-
 მოღვაწეები. მთავარ-მთავარ მოღვაწეთა რიცხვი
 მცირეა, მაგრამ ძალა და გავლენა მათი კი უზომოა.
 ერთი და მეორე ბანკი, ქალაქის საბჭო, დეპუტატთა
 საკრებულო, შავი ქვის მრეწველთა საბჭო, შკოლე-
 ბი... ერთი სიტყვით, თითქმის ყველა აქაური დაწესე-
 ბულება მათ კლანქებში ჩაუფდიათ და ხრავენ და
 ხრავენ უმოწყალოთ. ერთი ბანკი კიდევ გამოხ-
 რეს და ახლა სხვას მიყვს ხელი...

იუ ღმერთი მოგეხმარა და რომელიმე ამ მოღ-
 ვაწეთაგ ნის ყუ აღლება დაიმსახურე, შენს ბედს ძალ-
 ლიც არ დაყვს. უადგილოთა ხარ—გინდ მით
 ხელ ქვეით დაწესებულებში თავისუფალი ადგილი
 სრულიადაც არ მოიპოვებოდეს, ნუ გეშინია, შენ-
 თვის ახალს შექნან, მცირე ჯამაგირი გაქვს—გა-
 გიორკიცებენ; საზოგადოებაში შეუმჩნეველი ხარ—
 აგწვენ, აგამაღლებენ, შარავანდღით შემოსავენ.
 შეიძლება საზოგადოების რომელმე ნაწილმა დაგ-
 გმო, სამარცხენო ბოძხედაც გაგაკრა და პირ გაშა-
 ვებული ხარ—ფიქრი ნუ გაქვს, შენი მფარველ
 პატრონები თოვლის პანტელასავით გაგათეთრებენ
 და თვით უმწიკვლო უმანკობაზე უმანკოთ გამო-
 გიყვანენ...

ახლა რ. არის საჭირო ამ ბედნიერების მოსა-
 პოვებლათ? ნიჭი? ტალანტი? საქმიანობის უნარი?

არც ერთი, არც მეორე, არც მესამე. ამ
 ღირსებებს ვერც თვით ის ბატონები დაიკვებნიან,
 საკმარისია მხოლოდ ყველაფერი მოუწონო, ყვე-
 ლაფერზე ტაში დაუკრა, ისე მოაჩვენოთავე თიოქო
 მათი სიბრძნით, უმადლესი ზნეობით და ქვეყნისათვის
 ფასდაუფებელ მოღვაწეობით მოხილული ხართ,
 დტაცებული...

აი რა ახლავს ყოფილა ბედნიერება და რა ადვი-
 ლი მისი მოპოვება!

აბა, წლიქვენელნო და ფარისეველნო, პა-
 ტივისა და თფილი ადგილის მაძიებელნო, თავი
 მოიშკლიპეთ დიდე ულ მოღვაწეთა წინაშე!

ჰო, იმას მოგახსენებდით, ამ მოღვაწეებმა
 ერთი ბანკი კიდევ გამოხრეს თქო. დიახ, გამოხრეს,
 და ი'ე გამოხრეს, რომ პატრონებმა აღარ იციან,
 როგორ მოაგვარონ მისი საქმე. უკანასკნელ კრე-
 ბაზე დიდი კამათისა და თავის მტვრევის შემდეგ სულ-
 მლაფავი ბანკის გამოსაბრუნებლათ გადასწყვეტიტეს
 მისი შუა ბაზარში გადატანა. ამ გადაწყვეტილებას იმ
 ბრძნული მოსახრებით დადგომიან, რომ თითქო მსე-
 სხებელთ ბანკი ემორებოდესთ და ამის გამო არც
 სესხი გამოაქვთ და არც არას თავისას აბარებენ.

სხვისა რა მოგახსენოთ, მე კი ოღონდ სესხნი
 მიშოვეთ და თუნდ ტრაპიზონში გიახლებით.

ქართული

არა, აქ საქმე სულ სხვაფორიაა. მოგესხნებათ, კაკანათში თუ საკენკი არაა, თავის თავათ კაკანათი ჩიტს ვერ მიიტყუებს...

ბანკის შემდეგ ეს ვაჭბატონები შკოლას მიღგენ გამოსახრავათ.

თქვენ, მკითხველო, უთუოთ გაგიკვირდებათ, როგორ დაეპატრონენ ისინი შკოლას, როგორ უნდა გამოხრან ის, ან რა აქვს მას გამოსახრავია?!

დაეპატრონენ სულ ადვილათ. აი მოგახსენოთ. თავად-აზნაურობამ არა ერთხელ მიმართა მთავრობას თხოვნით, რომ სააზნაურო შკოლა გიმნაზიით გადაეკეთებია, მარა მთავრობა ყოველთვის უარს ეუბნებოდა: „რათ გინდათ გიმნაზია, თუ სწავლა გნებავთ, სამხედრო კორპუსები გვაქვს და თქვენი შვილები აქ გამოგვიგზავნეთ“. ამ ორი წლის წინეთ, როცა რუსეთში რევოლიუციამ იფეთქა, თავად-აზნაურების თავის მოსაქონათ მთავრობამ ნება დართო სააზნაურო შკოლის გიმნაზიით გადაკეთების. კანონის მოთხოვნისაებრ თავად-აზნაურობას უნდა აერჩია გიმნაზიისათვის სამზრუნველო კომიტეტი. კომიტეტის წევრებს, მართალია, ჯამაგირი არა აქვთ, მარა, თქვენაც დამეთანხმებით, თანამდებობა საპატიოა და ძლიერ საპატიოც. ამისთანა საპატიო თანამდებობას ჩვენი ბურჯები აბა როგორ დათმობდენ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ბატონებს თვითონაც გონიათ და სხვებსაც არწმუნებენ, რომ უიმართოთ არავითარი საქმე ხეირიანათ არ გაკეთდება. რადგანაც საფიქრელი იყო, რომ თავად-აზნაურთა საზოგადო კრებას სამზრუნველო კომიტეტის წევრებათ სხვები აერჩიათ და გიმნაზიის საქმე დაედუპათ, არჩიეს საგანგებო კრება მოეწვიათ, რომელზედაც მარტო თვითონ გამოცხადდენ და ერთმანეთი აირჩიეს. კრება ისე მცირე რიცხოვანი იყო, თავისიანები რომ სათვალავში აღარ ეყოთ, ერთი, შემთხვევით მოსული, გარეშეც კი აირჩიეს. გარეშე-ღმერთო, შეგვკოდე... მარა, არა. უნდა დავდუმდე. ლათინური ანდაზა ამბობს: *de mortuis aut bene, aut nihil* (მიცვალებულზე ან კარგი სთქვი, ან არაფერი.)

ახლა არ იკითხავთ, ვინ არიან კომიტეტში?— მარშლები, სეკრეტარ-ადვოკატები, ბანკირი და ერთიც ნაპედაგოგარი.— აი, ვინ არიან გიმნაზიის ბატონ-პატრონები! აი, ვის ხელშია გიმნაზიის, როგორც სამეურნეო მხარე, აგრეთვე; ჰოი, საკვირველებავ! პედაგოგიურიც კი!!!

სახრავი გიმნაზიას თავის თავათ არ ფერი ქონია, მარა მზრუნველთა საბეჯნიეროთ რამდენიმე თვის წინეთ ეს სახრავიც ამოჩდა. უთუოთ გეხსომებათ ამ ხუთი წლის წინ ეს წლის მონობის დღე-

სასწაული. ისიც გეხსომებათ, რა ბრწყინვალე დღეა, სასწაულია ჩვენმა „დობლესტმა“ თავად-აზნაურობამ ეს ღირს-სახსოვარი დღე. ალბათ გაგეგონებათ, რომ ამ დღესასწაულს მოყვა, უმაღლესი წყალობა—ყოველწლივ ოც-ოცი ათასი მანეთი თავად-აზნაურთა შვილების ამოსაზდელათ. მთელი ოთხი წლის განმავლობაში ბჭობდენ და თათბირობდენ აზნაურნი, თუ როგორ მოეხმარათ ნაბოზვარი ფულები, მარა ვერავითარ გარკვეულ გზას ვერ დაადგენ. მე, ცოდვილს, ექვი შემეპარა, ვაი თუ სრულიად ხელიდან გაგვისხლტეს ეს ფული თქო. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტეს ხუთი წლის შემოსავლით გიმნაზიისთვის საკუთარი შენობა აეგოთ და ადგილის ასარჩევათ კომისიაც აირჩიეს. კომისიაში, რა თქმა უნდა, ჩვენი მოღვაწეებიც მოხვდენ. ჩვენს მოღვაწეებს საქმის გაქიანურება არ უყვართ. მაშინვე ეტლში ჩასხდენ და დაათვალიერეს საღორიაც, საფიხიაც, ლულაძის მინდორი... მგონია, უხიმერიონის მთაზე მარჯანიშვილის ადგილიც კი ნახეს. დაათვალიერეს ეს ადგილები და ყველაზე უფრო უმრავლესობას თვალში ძველი თფილისის ქუჩაზე მდებარე სასულიერო სემინარიის ადგილი, ეგრეთ წოდებული ხარაზოვის ბაღი, მოუვიდათ. ამ ადგილების შესახებ ერთ ხანს ქუთაისში დიდი მითქმა-მოთქმა იყო. დავა გაზეთის ფურცლებზედაც გადავიდა. „საქმის სისწორით და სამართლიანათ ვადასაჭრელათ“, სწერდა ბ. გოკიელოვი „*Взвѣше*“-ში „საჭიროა დაინიშნოს კომისია ექიმებისა, პედაგოგებისა და ინჟინერთაგან შემდგარი და აი, ამ მცოდნე პირებმა და არა მარშალ-ადვოკატებმა აარჩიონ სასწავლებლისათვის საუკეთესო ადგილიო“.

მარა ვინ მიაქცია ყურადღება ბ. გოკიელოვის გონიერ რჩევას! ამათ ექიმებისა და ინჟინრებისათვის კი არა თვით სააზნაურო გიმნაზიის მასწავლებელთათვისაც არაფერი უკითხავთ, ისე აარჩიეს ადგილი. როგორ მოხდა ეს არჩევანი? რით ხელმძღვანელობდენ ამა თუ იმ ადგილის არჩევაში, ამას კომიტეტის ორი წევრის დიალოგიდან დაინახავთ.

— კაცო, მიშას ეზო იცი?—ეკითხება ერთი კომიტეტის წევრი მეორეს,—რა ნიგვზებია! რა ხეხილი! რა ყვავილები! რა კონინდარი შიგ! იმაზე უკეთეს ადგილს ჩვენი გიმნაზიისთვის სანთლით რომ ეძიო, ვერ ნახავ!

— რომელი მიშას?

— აი, კაცო, მიშას, „ჩვენი გიორგის“ ძმის. ახლა მას ფულები ეპირება, ხელსაც გაუწყობთ და გიმნაზიისთვისაც კაი ადგილს შევიძენთ. ამ ეზოზე „ჩვენი კოტეს“ ეზოც ზედ მოდებულია და არც იგი დავგრჩება უმაღური, ცოტაოდენს თუ იმასაც ჩამოვუჭრით.



— ეს, მამა ნუ წამიწყდება, ძალიან მოიგონე, მარა თავად-აზნაურთა საზოგადო კრებამ რომ არ დაამტკიცოს?

— იმე, შენგან არ მიკვარს, საზოგადო კრებას რას ვუცდით. მოვიწვიოთ საგანგებო კრება, მივიყვანოთ ჩვენი კაცები და ხელათ დავამტკიცებოთ. თქმა და ქნა ერთი იყო.

ხელათ საგანგებო კრება მოიწვიეს, მართლაც მიიყვანეს თავის კაცები და ხმის მცირე უმეტესობით გადაწყვიტეს მიშას ადგილის შექმნა. ეს რომ მოწინააღმდეგეებმა შეიტყვეს, ვისთანაც ჯერ იყო, მაშინვე საჩივრის ქალაქი აფრინეს, მარა ფორმალურათ საქმე კარგათ ყოფილიყო მოქაზრაკებული და საჩივარმა ვერ გასქრა.

მოუვიდათ თუ არა დამტკიცება, ეცენ მაშინვე ნოტარიუსს, იყიდეს ადგილი და დამტკიცეს კიდევ.

ახლა არ იკითხავეთ რა დაუჯდათ ეს ადგილი? — თითქმის სამოცი ათასი მანეთი. ასე რომ შენობის ასაგებათ დარჩათ მხოლოდ ორმოცი ათასზე ცოტა მეტი. ასე მცირე თანხით გიმნაზიისათვის რიგიანი შენობის აგება რომ შეუძლებელია, ეს, ვგონებ, ბრმისათვისაც კი ნათელია.

ამ ჩვენს ბატონებს საზოგადო ინტერესი რომ „ჩვენი მიშას“ და „ჩვენი კოტეს“ პირად ინტერესებისათვის არ ესხვერპლათ და ამოდენივე ადგილი ეყიდათ ან სემინარიის, ან ფრანგების ძველი სასაფლაო ივანოვის ქუჩაზე, ან სხვა რომელიმე, — არა უმეტეს ოცი-ოც და ხუთი ათასი მანეთისა დაუჯდებოდათ. ამ ნაირათ თითქმის ოთხმოც ათასამდე მორჩებოდა და ამ ფულით გიმნაზია კი ლამაზ შენობას აიგებდა სულ მოკლე ხანში იმ ორმოციოდ ათასი მანეთით კი, რომელიც შენობის ასაგებათ დარჩა, შეიძლება საძირკველი ჩაიყაროს, მარა კედლების ამოყვანას მე და შენ, მკითხველო, ვგონებ, ვეღარ მოვესწრებით, პირადათ მე საძირკველისაც დიდი ეჭვი მაქვს და აი რატომ, ერთმა მეცნიერმა სთქვა: „ფული თუ არაა ზრდაში, ან რკინის მაგარ კასაში, საოცარი სისწრაფით დადნება“. ეს რომ სრული ქეშმარიტებაა, მწარე გამოცდილებით ვიცი. უთუოთ ბევრ თქვენგანსაც ეცოდინება, მარა არ ცოდნია, თუ თავი მოიუტოდინარა ჩვენმა კომიტეტმა და საზოგადოების ქისას თავი ფართოთ მოუხსნა.

მთავარმართებლის მეუღლეს, აქ ყოფნის დროს ქალაქის თავისთვის საყვედური უბძანებია: „ქალაქი სრულიად მოუწყობელი გაქვს“. ქალაქი რომ მოუწყობელი იყო, ეს დავითმაც კარგათ იცოდა. მასაც ძალიან აწუხებდა უგზობა, უწყლობა და მტვერი, მარა რა უნდა ექნა, სესხი ბევრი ეძება, მარა ვერსად იშოვა.

ახლა ბედი თვით განგებამ კარზე მოუგორა. საკმარისი იყო მხოლოდ ხელის გაშვერა, და დავითმაც გაუშვირა იგი კომიტეტს:

— თქვენ რომ ფულები მოგრჩათ, ვიცი, დღეს-დღეობით არ გესაქიროებათ. ამ ფულიდან ოც და ათი ათასი მანეთი მე მასესხეთ, ქალაქის საპაჩინკოთ მინდა და, როგორც კი ვიშოვი, დაგიბრუნებთო.

„ჩვენს დავითს“ ამა უარს როგორ ეტყოდნენ, ხათრს როგორ გაუტეხდნენ. მტვერი და უწყლობა ამათაც დავითზე ნაკლებ არ აწუხებთ და ოცდაათი ათას მანეთს როგორ დაუკავებენ.

მარა მეორე თუ მესამე დღეს კომიტეტის თავმჯდომარეს გახსენებია დებუტატთა საკრებულოს მოხელეთა ჯამაგირი რომ შემოეხარჯა, გახსენებია, რომ ამის გამო მოხელენი კარგა ხანს გაფიცულნი იყვნენ, გახსენებია ანდაზა: „შინ რომ ბავშვები გიტროდნენ, გარეთ ტაბლას რა უნდაო“ და შემდეგ ბრძნულ გადაწყვეტილებას დადგომია: ეს ფული თავად-აზნაურებისაა, დებუტატთა საკრებულოც თავად-აზნაურებისაა, მაშასადამე დავითს რომ უარი ვუთხრა და ეს ფული დებუტატთა საკრებულოს ჩემის მიხედვით დამშეულ მოხელეთ მივცე, უფრო სამართლიანი იქნებაო. ასე და ამა პირსა ზედა დავითისათვის უარი უთქვამს და დებუტატთა საკრებულოსათვის რვა ათასი მანეთი დაუბრუნებულ სესხათ*) მიუტია როგორც ამბობენ, ამ ფულს დებუტატთა საკრებულოს ყველა მოთხოვნილება სავსებით ვერ დაუკმაყოფილებია, მეტი თუ არა ერთი იმდენი წელსაც დასქირდებოა. უნდა ვიფიქროთ, რომ თავმჯდომარე იმგვარსავე სესხს არც მომავალში დაიშურებს საკრებულოსათვის, ეს ხომ მის სრულ განკარგულებასა!

ამნაირათ მთელი თანხიდან გადარჩება რაღაც ოციოდე ათასი მანეთი...

როგორც დანამდილებით გავიგე, მეგონი გაზეზეთებშიაც კი ეწერა, გიმნაზიის შენობის აგება მიუნდვიათ ჩვენი ფრიად ცნობილ ინჟინერ-არხი-

*) იქნება გეუცხოვოთ ეს ახალი ტერმინი, „დაუბრუნებელი სესხი“. შეიძლება, ეს ტერმინი ეკონომიურ მეცნიერებაში არც კი შეგხვედროდეს. უნდა გამოვტყდე, არც მე შემხვედრია. ეს ტერმინი ჩვენი მოღვაწეების გენიოსობის, შემოქმედებითი ნიჭის ნაყოფია. პირველათ ვინ მოიგონა ეს ტერმინი ჯერჯეროვით დანამდილებით თქმა არ შეიძლება. კომიტეტის თავმჯდომარე ამბობს ჩემი მოგონილია, მარა კომიტეტის ერთი მსოვანი წევრი ამტკიცებს, ამ გვარი სესხი პირველათ მე მოვიგონე, თუმცა სხვა სახელი ვუწოდე და ამის საბუთებიც მაქვსო. რომელია მათ შორის მართალი, არ ვიცი, მარა მიუდგომელი ისტორია მომავალში უთუოთ გამოარკვევს და უკვდავთა სახელს ერთ ახალ სახელსაც მიუმატებს.

ქართული

ტექტორ კირილესათვის და ჯამაგირათ წელიწადში ათას ორასი მანეთი დაუნიშნავთ. თქვენაც დამეთანხმებით, რომ თავად-აზნაურობა თავს არ შეირცხვენს და გიმნაზიისათვის უბრალო სახლს არ ააშენებს შენობა უთუოთ მათი წოდების შესაფერი იქნება. ამისთანა შენობა, რა თქმა უნდა, ორ-სამ წელიწადს არ აშენდება და ის ოციოდ ათასი მანეთი არხიტექტორისა და მის თანაშემწეების ჯამაგირაში წავა, დანარჩენით კი გიმნაზიისათვის დიდებული სახლი აშენდება.

ეხ, მოღვაწეებო, მოღვაწეებო! ფრთხილათ, თვარა ისტორიამ კი არა, შეიძლება თანამედროვეებმაც მოგთხოვონ პასუხი ამგვარ მოღვაწეობისათვის!...
წელკავი.



ჩვენი ქალაქის თვითმართველობა.

თვითმართველობა, თვით ხალხის მიერ თავის საქმეების მოწყობა, — აი რა გვესმის ახლა ყოველი მხრიდან, აი რა მცნება გახდა დღევანდელი მოძრაობის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავი. გვაქვს თუ არა ჩვენ ამ ეამათ რამენაირი თვითმართველობა? გვაქვს, მაგალითათ, ქალაქის თვითმართველობა ძლიერ დაზარალებული. მართვა გამგეობის საქმეში მონაწილეობის მისაღებათ, სახელმწიფო იქნება ის, პატარა საერობო ერთეული, თუ ქალაქი, ყოველ მოქალაქეს, მდიდარია ის თუ ღარიბი, უნდა ქონდეს თანასწორი უფლება, თანასწორი ხმა. ეს არის თვითმართველობის იდეალი. თვითმართველობა უნდა იყოს მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესების გამომხატველი ბარომეტრი. ჩვენ ძლიერ კარვით ვიცით, რომ მართვა და გამგეობა ყველა მცხოვრებლებს ერთათ არ შეუძლიათ, ეს საქმე უნდა შეასრულოს რამოდენიმე არჩეულმა პირებმა, რომლებიც უნდა იყვნენ ამრჩეველების უმრავლესობის ნების გამომხატველნი. აი ამ პირების არჩევაში ქოხებრივი მდგომარეობის განსჯისთვის ყველა მცხოვრებელს თანასწორი უფლება უნდა ქონდეს, რომ არავის ინტერესები შეიბღალოს; ამას მოითხოვს ელემენტარული სამართლიანობა. მარა განა ეს პრინციპია გატარებული ჩვენი დროის ქალაქის ხმოსნების არჩევნების საქმეში? არა და ათასჯერ არა. ხმოსნების არჩევნებში მონაწილეობის უფლება, თანამედროვე კანონების ძალით, ხელთ უწყურია მდიდრების უმნიშვნელო მცირე ჯგუფს; იმათ, ვისაც საკმაო მატერიალური ცენზი აქვთ. ამნაირათ ბევრ თუნდაც გამოჩენილ გონებრივ ძალებს, რომლებსაც თავის ნაყოფიერი შრომით შეუძლიათ ქალაქს დიდი სარგებლობა მოუტანონ, თუ თან მა-

ტერიალური შეძლებაც არ მოსდევთ, მონაწილეობა ქალაქის თვითმართველობაში მოექცენ. აქედან წარმოსდგება შემდეგი უკუღმართობა; ქუთაისში, რომელშიც 50,000 მცხოვრებია, სულ ათასამდე კაცს აქვს ხმოსნების არჩევნებში მონაწილეობის უფლება ამ ათასი კაციდანაო, ვისაც გადასახადები ვადაზე არ შეუტანია, იმათ ეს უფლებაც ეკარგებათ და სულ ხუთას ან ექვსას კაცამდე რჩება ქალაქის ბედობის მესვეურების ამრჩეველობა. ამათგანაც პოლიტიკური ინდიფერენტისმის წყალობით ზოგი არჩევნებზე არ მოდის და სულ ორას ან ბედნიერ შემთხვევაში საჩას კაცამდე იღებს არჩევნებში მონაწილეობას. ნუთუ 50,000 მცხოვრებლებში სულ 200 ან 300 კაცს შეუძლია ყველასი ინტერესების გამომხატველნი იყვნენ? არა შემთხვევაში. ყოველი კაცი თვითონ უნდა იყოს თავის ინტერესების გამომხატველი და ამისთვის ყველა მოქალაქეს, ვინც უნდა იყოს იგი, თანასწორი ხმა უნდა ქონდეს ქალაქის ბედობის მესვეურების არჩევის საქმეში. ეს არჩევნების იდეალი უნდა ასულდგმულვადეს ყველა მოქალაქეს, თორემ ის უკუღმართობის გზა, რომელსაც ახლანდელი ქალაქის არამკითხვე პატრონები ადგანან, საუკუნოთ უკუღმართათ დარჩება.

იმის გამოსარკვევათ თუ რა გზას ადგანან ახლანდელი ქალაქის მამები თავის მოღვაწეობაში, უნდა გავითვალისწინოთ ის, თუ რაზე უნდა ზრუნავდნენ დღეს-დღეობით ქალაქის სვე-ბედის მმართველათ არჩეული პირები. უპირველესათ მათ საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს ქუჩების მდგომარეობა. ყოველი ქუჩა ისე უნდა იყოს დაგებული, რომ მათზე მიმოსვლა გასაჭირი არ იყოს. ჩვენს დროში ქუჩების ზედა-პირს სხვა და სხვა მასალისაგან აგებენ: ქვით, ასფალტით, ხის დამორ გადაჭრილი კუბიკებით, ბეტონით და სხვა. ამ მასალაში რომელი სჯობია, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი თვალსაზრისით მხრივ შევხედავთ ამ საგანს: ჰიგიენურის მხრივ, თუ გაძლების მხრივ. ჩვენ გვიანტერესებს უფრო ჰიგიენური მხარე და ამიტომ ხით მოგებული ქუჩა ყველას სჯობია, თუმცა ქვით მოკირწყლული ქუჩა უფრო დიდხანს სძლებს. ხით მოგებული ქუჩისაგან თითქმის არავ თარი ხმაურობა არ ისმის, ასფალტი და ბეტონი კი მიზიდავს ცუდი, რომ ძლიერი სიციხეების დროს ხურდება და ისედაც სულის შემხუთავ სიციხეს აასკეცებს. ქვით მოკირწყლულ ქუჩებზე კი ეტლების მიმოსვლისაგან ძლიერი ხმაურობა ისმის და მტვერიც ამნაირ ქუჩებზე მეტი დგება. ხის კუბიკებით მოგებული ქუჩები ბლომათა პეტერბურგში.

რაც შეეხება ქუთაისის ქუჩებს, ასფალტით და




ბეტონით კი არა ნეტავ მათ რიყის ქვით მოკირწყვლას ველირებოდეთ! ზოგიერთ განაპირა ქუჩაზე ეტლით გავლა თითქმის არ შეიძლება, რადგანაც გზის უსწორ-მასწორობის გამო ეტლი ან გადაბრუნდება და დაიმტვრევა ან და, თუ ავდარია, ტალახში ჩაეფლოება. ქვეითათ თუ გაიარეთ ცუდ ამინდში, მუხლებამდე ჩაეფლობით ტალახში. ქალაქის შუაგულიც არაა ამ მხრივ კარგ მდგომარეობაში. ალაგ-ალაგ იმდენათ დახრულია ქუჩები, რომ თითქმის ნახევარ არშინზე შევისვრის ეტლი, განსაკუთრებით თუ ცოტა ჩქარა მიემგზავრებით. ქვაფენილზე კი, თუ მუდამ წინ არ იხედები, შეგიძლია ფეხიც მოიტეხო და კისერიც. ბევრგან ქვა შხირი რყევის შემდეგ არხში ვარდება; ამ ადგილს ქვა-ფენილს თითქო პირი დაუღია და, თუ ფრთხილათ არ მიდიხარ, უეჭველათ ამ დაღებულ პირის სხვერპლი გახდები. ერთ საღამოს ჩემს თანამგზავრს ჩაუვარდა ფეხი ამისთანა ორმოში და ძლივს ავაყენე. კიდევ მისი ბედი, რომ ფეხი არ მოიტეხა. როგორ გგონიოთ, ზრუნავს ჩვენი ქალაქის გამგეობა ამისთანა დეფექტების ფიცხლავ შეკეთებაზე? გაბრაზებული მცხოვრებლები პრესისს შემწეობითაც ხშირათ უსაყვედურებენ მას ამნაირ დაუდევრობას, მარა კუზიანს მარტო საფლავი გაასწორებს, როგორც ამჯობს რუსული ანდაზა. ერთ წამს წარმოვადგინოთ, რომ ქუჩები ყველა შესანიშნავათაა მოკირწყვლული მთავარი რიყის ქვით, მარა განა ეს საკმაოა? არა. ქუჩებს ესაჭიროება დაგვადასუფთავება და მორწყვა. ქუთაისში ხშირათ მძვინვარებს ზენა-ქარი, რომლის დროსაც ჩვენი ქუჩები მტვერის ზღვას. წარმოადგენს. ვაი მათი ბრალი, ვისაც ფილტვები, ან თვალები აქვს სუსტი; ჯანმრთელებს ხომ უავთმყოფებს ამ ორგანოებს. ტანისამოსი რანაირიც უნდა ჩაიცვათ, ცოტა ხანში ისე შეთეთრდება მტვერისაგან, რომ რაც გინდა იცადოთ, ვერ გამოიცნობთ, რა მასალისაგანაა ის დამზადებული. რა დავებისნის ამ მტვერ-ბუღლისაგან? ერთათ-ერთი წყლის-საყვანი. მარა როდის გააკეთებს ქალაქი წყლის-საყვანს? ეს ქალაქის გამგეობას თუ უყურეთ, შორეულის მომავლის საკითხია, და დიდხანს, ძლიერ დიდხანს ვერ ველირებებით ჩვენ ამ ბედნიერებას.

გარდა ამისა ქალაქის ქუჩები ყოველ დღე დილა-ადრინათ უნდა იხვეტებოდეს ისე, როგორც ესაა მიღებული ყველა რიგიანათ მოწყობილ ქალაქებში. ვინ ჩივა, მტვერი რომ გვაწუხებდეს მარტო, ეს არაფერი, ამას კიდევ შეუროგდებოდა კაცი. ერთი მხრით უსუფთაობათა სადენი არხების უქონლობის გამო და მეორე მხრით მოქალაქეების დაბალ კულტურულ განვითარების, რომელნიც ქუჩაში ყრიან

ბევრ სხვადასხვა უსუფთაობას, მაგალითად, თიხის-ვლები ბუმბლს და ნაწლევეს, წვრილ ოთხ-ფეხ საკლავების ბალნეულობას, მორჩენილ პურის ნატეხებს, სუფრაზე შეგროვილ ნარჩენებს, ძვლებს, სახლის ნავებს და სხვას. ხშირათ ქუჩაშივე გადმოისვრიან მკვდარ წიწილებს, ქათმებს, თაგვებს; ხშირათ თავისით კვდება ქუჩაში რამე პირუტყვი: ძაღლი, ლორი, კატა და მისთანები. ყველაფერი ეს ისე გაიხრწნება ქუჩაში, რომ კაცი ხელს არ ახლავს. მცხოვრებლები ქუჩაშივე სხვადასხვა ნარეცხებს და ხანდახან ფეხისადგილების უსუფთაობასაც, განსაკუთრებით ხშირია ამისთანა მაგალითები ქალაქის განაპირა უბნებში; იქ ზოგიერთ ქუჩაზე ცხვირზე ხელ-მოჭრილსაც ვაგვიკირდებათ გავლა. ეს სხვადასხვა ორგანიული ნივთიერება ქუჩაზე ღვება და ჰაერი იწამლება ათასნაირი ცუდ სუნინი გაზებით, რომლებიც დიდათ მაკნებელნი არიან მცხოვრებლების ჯანმრთელობისთვის. ხალხის ჯანმრთელობის დასაცველათ ქუჩების დაგვა-დასუფთავებაც იმისთანა საჭიროებას წარმოადგენს, როგორც საცხოვრებელი ბინის დაგვა-დასუფთავება, მარა მცხოვრებლებს რა ვუძრახოთ, როცა ეს ანორმალური მდგომარეობა თვით ქალაქის მამებსაც არა აქვთ შეგნებული. არასოდეს არ დამავიწყდება ის საბჭოს სხდომა, რომელზედაც მსჯელობა გვქონდა ქალაქის შუა-გულ ადგილებში თავლების გაუქმებაზე. ერთი ძველი ხმოსანი იურისტი ადგა და პაფოსით სიტყვა: „ახლანდელ დროში თავლებში ცხენების ნეხვის სუნით ზოგიერთ ავთმყოფებს თურმე კურნავენ, ასე რომ ცხენების ნეხვი, როგორც სჩანს, კაცის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ყოფილა და, თუ ეს ასეა, თავლები კი არ უნდა გავაუქმოთ, უფრო უნდა გავამრავლოთ“. მერე ექიმებს შეგვეკითხა, რამდენათ მართალია ეს აზრიო. ეს ის დრო იყო, როცა ქუთაისში ვიღაც მაწანწალამ გაავრცელა ხმა, ქლექის უებარი წამალი ვიცი და ყველა ქლექიანს ვარჩენო. როგორც გამიგია, ეს მატყუარა თურმე აშიშვლებდა თავის პაციენტებს და ყელამდის ცხენების ნეხვში ფლავდა მთელი დღეობით. მაშინ ბევრს კიდევაც სწამდა, თითქო ქლექიანები მართლაც რჩებოდნენ ამ საშვალეობით.

აი რა სიბნელეა ჯერ კიდევ ჩვენში გამეფებული. მარა დაუზბრუნდეთ ჩვენს პირდაპირს საგანს. ქუჩების სუფთად შენახვისთვის აუცილებელი საჭიროებაა წყლის-საყვანი, როცა ქალაქს წყლის-საყვანი ექნება, მაშინ სულ ადვილი იქნება ქუჩების მორწყვა და მცხოვრებლებს არც მტვერი შეაწუხებს და არც სიცხე, რადგანაც სიცხეში ცივი წყლით ქუჩის მორწყვა ჰაერსაც აგრილებს. როცა ტალახი



იქნება, ქუჩები უნდა წყლით ირეცებოდეს, როგორც ეს მინახავს მე ქალაქ იურიევში (დორპატში). ეს ნემცების პაწია ქალაქი სწორეთ ქუჩების სისუფთავის დაცვის იდეალათ უნდა ჩაითვალოს. იქ თუ მტვერია, ყოველ დილაობით ადრინათ ქუჩებს დაგვიან და, თუ ტალახია, დარეცხავენ. როდის ვეღირსებით ჩვენ ქუჩების ასე მოწყობას და სისუფთავის? ამაზე მომაკვდავი ვერავინ გვიპასუხებს.

(შემდეგი იქნება).

ბრ. ნასარიძე.



რუსეთი.

ოდესა. 12 დეკემბრის 1904 წლის უქაზით მთავრობამ აცნობა ქვეყანას: „გადათვლიერება მომქმედ დადგენილებებისა, რომლებიც ზღუდავენ სხვა ტომის ხალხთა უფლებებს იმპერიაში, ისე რომ ნათქვამ დადგენილებების რიცხვიდან შენახულ იქნეს მხოლოდ ისეთი, რომლებიც გამოწვეულია სახელმწიფოს არსებით ინტერესების დასაცველათ და რუსის ხალხის ცხად სარგებლობისთვის.“ ასეთი ბუნდოვანი და გუღღვრია პოლიტიკა უდევს სარჩულათ და წამქეზებლათ ოდესის საშინელ პოგრომებს.

ავვისტოს 20—23 რიცხვებში, რუსის ხალხის კავშირმა კიდევ გაილაშქრა ოდესის ხალხზე განსაკუთრებით ებრაელებზე. ხოცვა, დაბეგვა, გაცარცვა, მალაზიების დარბევა და სხვა შეიქნა ამ უბედური ქალაქის ხვედრათ. 22 აგვ. მინისტრ სტოლიპინისაგან მოვიდა დეპეშა, რის შემდეგაც პოგრომები შეაჩერეს.

„კავშირის“ გმირები მანც არ დასცხრენ და ქუჩებში გამველელ-გამომველელს ცარცვავენ, სცემენ და შეურაცხყოფას აყენებენ.

ბირჟა დაკეტილია და მშვიდობიანობა არ დამყარებულა.

რუსის ხალხი საბჭომ გამოაქვეყნა მოწოდება „მეფისთვის და სამშობლოსთვის,“ რომლითაც ურიებს მიმართავენ და წინადებას აძლევენ, რომ თუ სურთ უშიშრათ დაიცვან თავიანთი ქონება და პიროვნება—თუ სურთ, რომ თავისუფალ იქნენ მახლობელ დარბევისაგან, დაუყოვნებლივ სახალხოთ მოინანიონ, სინაგოგებში შეიკრიბონ მასწავლებლებისა და რაბინების თანდასწრებით—საჯაროთ გამოაცხადონ ამ სამოქალაქო ბრძოლის ღამნაშავენი—აგრეთვე გვაჩვენეთ მათი ჩამგონებლები - ებრაელთა ინტელიგენცია—უარყავით შეუძლებელი ოცნება უფლების გათანასწო-

რებისა და შეერთდით ებრაელები განუსაზღვრელ თვითმპყრობელობისათვისო“ და სხვა.

ახალმა გრადონაჩაღნიკმა ნოვიციკიმ, უბრძანა პოლიციას, რეპორტიორებს ნუ მისცემთ ოდესაში მომხდარ შემთხვევებზე სწორ ცნობებსო. ნუ ეტყვით სახელებს, გვარებს, ქუჩებს, სახლებს ნურც გატაცებულ ქონების რაოდენობას. ყველა სახელწოდება აღნიშნეთ №-ით. ქუჩაზე № ბატონი № დაბეგვეს ხულიგანებმა. გაცარცვეს № და წართვეს № მანეთი. №-ის ქუჩაზე გაქურდეს საავათმყოფო № და წაიღეს №-ათ ღირებული ნივთები,

მ სექტემბერს მოკლულ უბნის ზედამხედველის დასაფლავებას გაყვა მთელი გროვა „კავშირის“ წევრებისა. როცა პროცესია გაუთანასწორდა ებრაელების საავათმყოფოს ხალხიდან გაისმა რევოლვერების სროლა, ამან საშინელი თავზარი დასცა საავათმყოფოში მყოფთ. იქიდანაც გაისმა სროლა. გროვა გაიქცა. ამ დროს შეიარაღებული რუსის კავშირის ბელადი უყვირის თავის გროვას ებრაელები ისვრიან საავათმყოფოდანო და თავის ბანდით შევარდა საავათმყოფოში, ყველაფერი გასინჯეს, ყველაფერი გაჩხრიკეს, ყველაფერი თავყირა გადაატრიალეს; ექიმებსა და მოსამსახურებს საშინელი, კალმით აუწერელი, თავზარი დასცეს. როცა ჩხრეკა გაათავეს ქუჩაზე გამოვიდნენ და რამდენიმეჯერ გაისროლეს. აღმოჩნდა დაჭრილი ერთი პატარა ქრისტიანი გოგო. ბევრი ნაცემ-დაბეგვილია.



უცხოეთი.

ვენეზუელა.—სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, რომ ვენეზუელის პარლამენტის გახსნის დღეს—10 ოქტომბერს (ახ. სტ.) მოახდინონ საყოველთაო გაფიცვა. ამ დემონსტრაციას აქვს მიზნათ მოითხოვოს საყოველთაო საარჩევნო უფლებების განხორციელება. ამისთვის პარტია შეუდგა ენერგიულ აგიტაციას სიტყვით, მწერლობით და კრებებით. პარტიულმა გაზეთმა მოწოდებით მიმართა ვენეზუელის ხალხს და მკაცრ კრიტიკაში გაატარა ეროვნული და რევოლიუციონური ყოფილი ლიდერების მოქმედება.

„კოალიცია, —ამბობს, მოწოდება—ხალხის მტერი იაო; კლერიკალები და მემამულეები უფრო და და უფრო მეტს თხოულობენ; საცხოვრებელი ნივთიერებანი გაძვირდნ და შეიქნენ მხოლოდ მდიდრების მისაწვდომ საგნათო“. ეს გარემოება თავისთავათ ბადებს მუშაობის საზოგადოთ შეჩერების კითხვას, რომელიც ბრძოლის ერთი საშვალეებათა-

განია. 10 ოქტომბერს ყოველმა მუშამ სურვილი საერთო მოთხოვნაში უნდა გამოაცხადოს. ამ დღეს დაიწყება მეღვარი რევოლიუციონური ბრძოლა ტახტის მიერ ნათქვამისა და პროგრამის განხორციელებისათვის. „ნუ მიიყვანთ ხალხს რევოლიუციამდე, დაასკვნის მოწოდება, შეასრულეთ ის, რის ვალდებულაც თქვენი პატიოსანი სიტყვითა ხართ.“ —

* *

ინგლისი. — ოფიციალურ ხალხსაც შეაქვს თავის სამოქმედო პროგრამაში მუშებზე ზრუნვა. მაგრამ ოფიციალურ ჩარჩოებში მომწყვდეული კითხვა მხოლოდ ოფიციალთა გზას თუ გაყვა, ქველ-მოქმედების იქით ვერ წავა. აი მაგალითათ, ლონდონში შეიკრიბა მერვე საერთაშორისო კონგრესი წარმომადგენლები იყვენ: იტალიისა, ისპანიისა, რუსეთისა, ავსტრიისა, დანიისა, საფრანგეთისა, ბელგიისა, გოლანდიისა და შვეციის მთავრობისა.

ინგლისის მთავრობის სახელით ჯონ-ბერნსმა ილაპარაკა. თავის სიტყვაში ის შეეხო მუშებისთვის ბინების კითხვის სიძნელეს, რომელიც ძალიან საჭიროა ყველგან და უფრო ჩქარა-მოზარდ ქალაქებისთვისო, როგორც არის მაგ. ნიუიორკი, ბერლინი და სხვა. ბინის კითხვა არის კითხვა სიღარიბისა; კერძოთ ის მტკიცეთ შეკავშირებულია უსწავლელ მუშების მდგომარეობასთან, რომელიც ართულებს კითხვას. სანამ არსებობს ცოტა-ქირიანი უსწავლელი მუშები მათთან ერთათ იარსებებს ცუდი ბინებიც. უსწავლელი მუშების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესობა წინ წასწევს ამ კითხვასაცო. არ შეიძლება ჩავთვალოთ ნორმალურათ, რომ უსწავლელი მუშები უფრო ცუდათ ცხოვრობენ ვინემ დამნაშავენი სატუსალოებში. ამ მხრით ლონდონში პროგრესია: უსწავლელ მუშებისთვის აშენებულია სახლები იაფი ბინებით, მაგრამ ის ისე უნდა მოეწყოს, რომ თავის სახლობით შეეძლოთ იქ ცხოვრება. კომუნალური მართველობები ამ კითხვებში უფრო წინ წავიდენ. მთლათ ინგლისში 500,000 და ლონდონში მართო 50,000 უვარგისი ბინაა ცარიელი; ეს სხვათაშორის მისავალ-მოსავალის საშვალების გაუმჯობესობამ გამოიწვია, რომელიც საშვალებას აძლევს მუშებს აიღონ ბინა იქ, სადაც ურჩევნიათ.

ამას ვარდა რიჩმონდის ქალაქის სამართველოს წევრმა რამდენიმე ცნობა მოიყვანა: უბნების გასაგენდავათ ლონდონის თვითმართველობას 312(?) გირვანქა სტერლინგი დაუხარჯავს. ამ მიზნისათვისვე მთელს ინგლისში 6 მილიონი გირვ. სტერლინგი დაიხარჯაო. შენობები თავის ბინებით ლონდონს

დაუჯდა 2 მილიონ სტერლინგათ. პროცენტშიც დაიხარჯა ამდენივეო.“

ასე ზრუნვენ ოფიციალური კაცები მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ...
* *

საზრახვითი ჰერვიზმის ნაყოფი გამოიღო. პარიეში 7 ანტიმილიტარისტი დასაჯეს 15 თვიდან 3 წლამდე სატუსალოში ჩამწყვდევით. ჰერვე ბელადია იმ მოძღვრებისა, რომელიც ქადაგებს, რომ ყოველ ქვეყანაში სადაც კი სოციალისტური პარტიები მოქმედებენ, უნდა იქადაგონ ჯარში არავინ წავიდეს და ვინც წასულია ისინიც გაიქცენ, მიიმალონ, ან საქვეყნოთ უარყონ მილიტარიზმი, მაშინ ომებიც მოისპობა და სოციალიზმის განხორციელებაც მალე შეიქნება შესაძლებელიო.

* *

იაშენაა. — ცუსიმაში და მუკდენში გამარჯვებული იაპონელი ხალხი ძლეულ და შევიწროებულ იქნა სტიქიისაგან. საშინელი წყალდიდობა-წარღვნაა ტოკიოში და სხვაგან. მას მოყვა ცეცხლი, რომლის მეოხებით ერთი ქალაქის 2/3 განადგურდა. დაიწვა 10,000 სახლი. რუსეთის და ბრიტანიის საელჩოები დაიწვა. 500-მე კაცი დაიკარგა. ზარალი 20-დან 30 მილიონ იენამდე *) იქნება.

სახალხო შკოლა დასავლეთ ევროპაში.


(ბ. ფლიტის წერილებიდან)

I. სსსაფსო შკოლა საფრანგეთში.

დიდ რევოლიუციამდი სახალხო სწავლა-განათლების საქმე საფრანგეთში სამწუხარო მდგომარეობაში იყო... არ შეიძლება ვსთქვათ, რომ საფრანგეთში არ არსებობდა სახალხო შკოლა, რადგან მთავრობას არ ესაქიროებოდა ის, პირიქით ეშინოდა შკოლის... თუმცა მე-XII საუკუნეში თანხმათ სამღვდლოებათა კრებების დადგენილებისათვის ეკლესიასთან უნდა გახსნილიყო შკოლა; მარა ამ ვადაწყვეტილებამ სრულიადაც ვერ წასწია წინ სწავლა-განათლების საქმე, რადგან მასწავლებელთა რიცხვი ძლიერ მცირე იყო და სადაც მოიძებნებოდა ორი-სამი მასწავლებელი, იქაც საეკლესიო ვალობის მეტს არას ასწავლიდენ...

ვევბერთელა მხარე ბნელეთით იყო მოცული. საფრანგეთის საზოგადოების პროგრესიული წევრნი მრავალ გვარ ზომებს ხმარობდენ სწავლა-განათლების ასაღორძინებლათ. თვით მთავრობაც კი არა

*) 1-იენი უდრის თითქმის ორ მანეთს.



ერთხელ შეეცადა ამ ზომების ცხოვრებაში გატარებას. აი, მაგალითათ, კარლ მე-IX გამოსცა ბძანება, რომლის ძალით მასწავლებელთა დანიშვნა უნდა მომხდარიყო სასულიერო და საერო მთავრობათა შეთანხმებით, დაარსებულიყო სპეციალური სასწავლებლები მასწავლებელთა მოსამზადებლათ... ბნელი ძალები და მათ რიცხვში სამღვდელთა-წინ გადაეღობა ხალხის გათვითცნობიერების საქმეს. არ გაუშვეს შკოლა თავისი ბასრ კლანჭებიდან. ასე გადიოდა წლები, იცვლებოდნენ მეფენი, სახალხო შკოლა რჩებოდა მივიწყებული, სადაც ბნელ-კუთხეში მიგდებული. მართალია, ლიუდოვიკ მე-XIV-მ და ლიუდოვიკ მე-XV-მ გამოსცეს ბძანება მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესების და შკოლების რიცხვის გაზრდების შესახებ, მარა სასულიერო მთავრობა სულთა-მხუთავ მგელივით დაეჯახა შკოლას და არ შეუშვა მასში თავისუფალი ცხოველ-ყოფელი სხივი. ლიუდოვიკ მე-XVI-მ, ამ საუკეთესო, თუმცა ძლიერ სუსტმა მონარქმა, მრავალ-გვარ ზომებს მიმართა, რომ შკოლა რიგან ნიადაგზე დაეყენებია. მისი მეფობის დროს სახელმწიფო სიებით ითვლება 10,000 სახალხო შკოლა. სამწუხაროთ, ეს მხოლოდ ქალაქებზე დარჩა, ნამდვილათ კი შკოლებს სულაერი მამები განაგებდნენ, მეფის სისუსტით სარგებლობდნენ და უკანასკნელს შკოლების სიპრაველით უხვევდნენ თვალს...

1786 წელს ბარში მომხდარმა პროვინციალურმა კრებამ დაადასტურა შკოლის სამწუხარო მდგომარეობა: ხალხი უვიცი, შავი ბურუსით მოცული; თვით მასწავლებელნი, ელემენტარულ ცოდნას მოკლებულნი, ნივთიერათ დაცემულნი—შიშველ-ტატველნი, მშიერ-მწყურვალნი, შკოლის შენობები დაფარცახებულნი, მინგრეულ-მონგრეული, უპატრონოთ მიგდებულნი...

დადგა რევოლიუცია. მან განაახლა ცხოვრება, განაახლა შკოლაც. ძველი, დახვსებული წესწყობილების ნაცვლათ მან შექმნა ახალი, უფრო სამართლიანი, რიგიანი, ცხოვრებასთან შეფარებული... მან შესცვალა თვითნებობა კანონით, პრივილეგია—თანასწორობით, მან გაათავისუფლა ხალხი წოდებრივ განსხვავებისაგან, მცხოვრებნი—სიბნელისაგან, მეურნეობა—ფეოდალიზმის კლანჭებისაგან. რევოლიუციის ბელადნი ძლიერ კარგათ გრძობდნენ, რომ რევოლიუციის გამარჯვება შეიძლება მხოლოდ გათვითცნობიერებული მასის საშეაღებით, რომ უპირველესი და უწინარესი მეცადინეობა ყოველი განმთავისუფლებელი მოძრაობის არის ცოდნა და თავისუფლება. კოროლის და კონვენტის მიერ განსახილველ საკითხთა შორის პირველი ადგილი სახალხო სწავლა-განათლების კითხვას ეჭირა.

გამარჯვება რევოლიუციის ფეოდალისტიკური გამარჯვება სინათლის სიბნელეზე, თავისუფლების ძალ-მომარეობაზე, და, რა საკვირველია, საყოველთაო, სავალდებულო, სახალხო განათლება იყო ერთი უმთავრესი მოთხოვნილებათაგანი თავისუფლებისათვის მებრძოლთა... ტალეირანი 1791 წ. თხოულობდა საყოველთაო, უფასო სახალხო განათლებას. ამ დემოკრატიულ მოთხოვნილებას არავინ ყავდა წინააღმდეგი რევოლიუციის დროს, მარა მისი სისრულეში მოყვანა გაჭირდა. რევოლიუცია ძლიერ ცუდი დროა მშვიდობიან მეცადინეობისათვის და გასაკვირველი არ უნდა იყოს, რომ სწავლა-განათლების საქმის სისტემის შეცვლა საფრანგეთში სრულებით არ მოხერხდა. მაგალითათ, კანდორსემ 1792 წ. წარუდგინა საკანონმდებლო კრებას თავისი გეგმა სახალხო შკოლისა, მარა განა შეეძლო კრებას გაერჩია იგი თავისუფლათ და გულდასმით, როცა გარეგანი და შინაური ამბები თხოულობდნენ ხმალსა და ფიზიკურ ბრძოლას და არა მშვიდობიან კალამს?!.. ლონაკალმა ლებელეტაემ და სხვებმაც, როგორც სახალხო წარმომადგენლებმა, წარუდგინეს კონვენტს მრავალი გეგმები შკოლის სისტემის შეცვლისა და უფასო, სავალდებულო სწავლის შესახებ. ამ გეგმების განსახილველათ კონვენტმა აირჩია „საზოგადო განათლების კომიტეტი“, და „აღზრდა-განათლების კომისია“.

კომიტეტმა და კომისიამ შეიმუშავეს მრავალი გეგმები, მარა რევოლიუციამ მხოლოდ ცოტაოდნათ შესძლო შკოლის მდგომარეობის შეცვლა. მან ჩადვა მტკიცე საფუძველი ასეთი ცვლილებისა და მოუმზადა ნიადაგი საფრანგეთის მომავალი სახალხო შკოლის აყვავებას.

1793 წ. გამოიცა კანონი, რომლის ძალით თვითეულ 400 კომლ მცხოვრებზე უნდა გახსნილიყო ერთი შკოლა, მარა ეს გეგმა განუხორციელებელი დარჩა.

ორი წლის შემდეგ დადგა რეაქცია. საზოგადო უფასო სწავლის შემოდება მხოლოდ სურვილათ დარჩა; პროგრამები შკოლებში ძლიერ შეიკვეცა. შკოლების შესანახ მთელ ხარჯებს საზოგადოება ეწეოდა, სახელმწიფო კი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა შკოლების შენახვაში... ასეთი ცვლილება მოყვა შედეგათ პარტიათა ბრძოლას, რომელმაც ძლიერ გამწყავებული ხასიათი მიიღო ამ არეულ დროს.

უნდა აღვიაროთ, რომ საყოველთაო, უფასო სწავლის ცხოვრებაში გატარება—ეს ერთი ავანტიურა ადგილია, აღმაშფოთებელი საკითხია სწავლა-აღზრდის საქმეში. ეს არის დემოკრატიული ზომა-

ქვეყნული

საშვალემა, რომელიც ძირს უთხრის დახვედრულ ძველ წესწყობილებას, არღვევს წოდებრივ განსხვავებას, სპაზს ერთი წოდების მეორე წოდებაზე ბატონობას და ამიტომაც ყოველთვის იძენს მტრებს, მოწინააღმდეგეთ. „ცხენს რომ კაცის ოდენი ესმოდეს, არ შემისვამდა ზურგზეო“, წამოიძახა ერთმა ლორდმა, როდესაც ინგლისის ზედა პალატაში ირჩეოდა კითხვა საზოგადო სწავლა-განათლების ორგანიზაციის შესახებ. და აი სწორეთ იმის შიში, რომ კაცმა ბევრი არ ისწავლოს და უარი არ განაცხადოს მონობაზე, არის უმთავრესი დასაბამი ბრძოლისა საზოგადო განათლების წინააღმდეგ. ნაპოლეონ I-ლი სახელმწიფოს მართვა გამგეობისათვის საჭიროთ სცნობდა მხოლოდ ორ ნივთს: ჩექმებსა და დეზებს. მისი მეფობის დროს იხარჯებოდა შკოლის შესანახათ წლიურათ მხოლოდ 50,000 ფრანკი; მთელი სწავლა-აღზრდის საქმე იეზუიტების ხელში იყო მომწყვდეული. ლაველეს სიტყვით მთავრობას ახსოვდა მხოლოდ ჯარი, შკოლა კი მივიწყებული იყო, იგი არ შეადგენდა მისი ზრუნვის საგანს. რამდენათ ცუდ მდგომარეობაში იყო სწავლა-განათლების საქმე მე—30 წლებში შეიძლება ნათლათ დაინახოს მკითხველმა საფრანგეთის მინისტრის ცირკულიარიდან (10 ივნ. 1830 წ.): „ნახევრათ დანგრეული შკოლების შენობები, მშიერ მწყურვალნი მსწავლებელნი, მათი გონებრივი სიღატაკე, ბიბლიოთეკების უქონლობა... ასეთ სამწუხარო სურათს წარმოადგენს ჩვენი შკოლა,“—ნათქვამია ამ ცირკულიარში. ლიუდოვიკ ფილიპეს დროს სახალხო განათლების მინისტრმა, გიზომ (1833 წ. 28 ივნისს) გამოსცა დეკრეტი, რომლითაც უნდა მომხდარიყო შკოლის რეორგანიზაცია შემდეგ ნიადაგზე: თვითეულ საზოგადოებას უნდა ექნეს თავისი საკუთარი შკოლა, თვითეულ დეპარტამენტს—საოსტატო ინსტიტუტი, ყოველ 6,000 კომლ მცხოვრებზე უნდა მოდიოდეს ერთი უმაღლესი სახალხო შკოლა, მსწავლებლებს დაენიშნოს მუდმივი ჯამაგირი განსაზღვრული მინიმუმით; საზოგადო სწავლა განათლების საქმის გამგეობა დაექვემდებაროს საზოგადოება-თა მიერ არჩეულ კომიტეტებს, რომლებსაც შეადგენენ: მერი*), სუბრეფექტი და მღვდელი. ასეთი კანონის ძალით საფრანგეთში გაიხსნა 20.000-მდე სახალხო შკოლა, მარა რამოდენიმე ხნის შემდეგ მოხდენილმა რევოზამ აღმოაჩინა, თუ როგორ სუსტ და უნაყოფო ნიადაგზე იყო დამყარებული სწავლა-განათლების საქმე და როგორ გულგრილათ უცქეროდა თვით მთავრობა ხალხის გათვითცნო-

ბიერების საქმეს. სახალხო შკოლა თანდათან ვის გაუმჯობესობისათვის მუდმივ და განუწყვეტელ ზრუნვას. ვერავითარი დროებითი ზომები ვერ შესძლებს შკოლის ქეშმარიტ ნიადაგზე დამყარებას, თუ სახელმწიფო თავის ზრუნვის საგნათ არ იხდის მის კეთილდღეობას... საფრანგეთში, რომელიც მე 48 წლამდე თითქმის მოკლებული იყო ყოველგვარ თავისუფლებას, არ შეეძლო განვითარება შკოლას... დადგა მე 48 წელი. თავისუფლების სხივმა შეაშუქა საფრანგეთის მიღუნებულ ცხოვრების სარკმელში, აფრიალდა დროშა თავისუფლების, ერთობისა და სოლიდარობის... ამხედრდენ შეერთებული ძალით რეაქციონერები, ფეოდალები და უფრო სამღვდელოება... მარა თავისუფლებამ მაინც სძლია, გაიმარჯვა. საფრანგეთმა გამოაცხადა საზოგადო, უფასო და ყველასთვის თანასწორი პირველ-დაწყებითი სწავლა. სახელმწიფომ მაშინვე გადადგა სწავლა-განათლების საქმის მოსაწყობათ ხაზინიდან 47 მილიონი ფრანკი...

მარა რევოლიუციას ყოველთვის მოსდევს რეაქცია. თუმცა მას არ ძალუძს მოაბრუნოს უკან ისტორიის ჩარხი, მარა დროებით მაინც შეუძლია შეაფერხოს ისტორიული პროგრესის მსვლელობა. როცა საფრანგეთის ბურჟუაზიამ ნათლათ დაინახა თავისუფლების გამარჯვება, მოიკრიბა მთელი თავისი ძალები, რომ ქვეყანა დახვედრულ წარსულისაკენ დაებრუნებია. რევოლიუციის გრივალით თავზარ დაცემული რეაქცია შეუკავშირდა ეკლესიას და 15 მარტს 1850 წ. გამოვიდა რეაქციონური კანონი დაბალი ტიპის შკოლების შესახებ. ამ კანონის ძალით შკოლების მართვა გამგეობის საქმე ისევ გაბღენძილ სასულიერო მთავრობას ჩაუვარდა ხელში. რეაქციისაგან შემინებული მინისტრები, რომელნიც წინეთ მედგრათ იცავდენ თავისუფალ შკოლას, ახლა საეკლესიო შკოლებს გამოექმობაგენ. აი რას ამბობს, მაგალითათ, ლიბერალი მინისტრი გაგერა იმ კომისიის ერთ-ერთ კრებაზე, რომელიც 1850 წელს შკოლის ორგანიზაციის შესახებ გვემას აღგენდა.

„უღემენტარული განათლება არ უნდა იყოს ყველა მკვიდრთათვის თანასწორათ მისაწვდომი. ის წარმოადგენს მეტ ბარგს, ფუფუნებას. მე კიდევ დავთანხმდებოდი შკოლების რიცხვის გამრავლებაზე, რომ სწავლა-განათლების საქმე სავსებით სამღვდელოების უფლების ქვეშ იყოს; მე უარს ვყოფ საერო შკოლებს, რომელთა უმეტესი რიცხვი დღეს უკიდურეს მდგომარეობაშია და საჭიროთ ვრაცხ საეკლესიო შკოლების ბლომთ გახსნას, თუმცა წინეთ უნდობლათ ვუცქეროდი მათ“. მინისტრი ამით არ დაკმაყოფილდა და მრავალგვარ მოხსენებებში

*) მერი—ქალაქის თავია.

გაატარა ის აზრი, რომ შკოლა სავსებით დაქვემდებარებოდა მღვდელს. ამ გვარმა შკოლის ორგანიზაციამ მალე გამოიღო შესაფერი ნაყოფი: მოსწავლე ბავშვთა რიცხვმა შესამჩნევად იკლო. ისინიც, ვინც დადიოდნენ შკოლებში, ტყუილა დროს კარგავდნენ და ხშირათ იძულებული ხდებოდნენ შეეწყვიტათ სწავლა და მიბრუნებოდნენ ისევ თავის ბნელ კერას. მასწავლებელნი ვერ აკმაყოფილებდნენ სალი პედაგოგიის მოთხოვნები; მღვდლებს შექონდათ შკოლაში რექციონური მეთოდები და უმთავრეს ყურადღებას საეკლესიო გალობას აქცევდნენ; შკოლის სახელმწიფო ბიუჯეტმა 12 მილიონ ფრანკამდის დაიწია. შკოლების მართველ გამგენი იყვნენ: მინისტრი და სახელმწიფო საბჭო, რომელიც შესდგებოდა 4 ეპისკოპოსისა, მოხელეებისა და საკასაციო დეპარტამენტის წევრთაგან; მთელი სახელმწიფო გაყოფილი იყო 16 სასწავლო ოლქით. თვითეულ ოლქში შკოლების საქმეს განაგებდა ინსპექტორი, სოფლის საზოგადოებაში—მღვდელი.

1887 წლამდის ბევრი ცვლილება მოხდა საფრანგეთის შკოლის ცხოვრებაში. აღნიშნულ წელს გამოიცა მთელი წყება კანონებისა, რომელმაც ცოტათ-თუ ბევრათ შკოლა კარგ პირობებში ჩააყენა და დაუახლოვა მისი ორგანიზაცია ზოგიერთ დასავლეთი შკოლების ორგანიზაციას. როგორია თანამედროვე საფრანგეთის შკოლების ორგანიზაცია? რა გვარია მისი პროგრამა, მისი შინაური მდგომარეობა, მდგომარეობა მასწავლებელთა და მოსწავლეთა?!

(შემდეგი იქნება).

მარლამ ოფჩელი.

ს ო ტ ლ ი ს ა მ ბ ე ბ ი.

დ. ბაღდათი. „სტრახნიკების“ დაქირავებაში არც ბაღდათი ჩამოხდა მესობელ საზოგადოებებს, ჩამეტანი სიერთაგულით კიდევ გადაატარა მათ: ამ დროს, როდესაც სვირისა და დიშის საზოგადოებებს ოთხ-ოთხი „სტრახნიკის“ მეტი არ უკეთ, ბაღდათმა რვა დაქირავა. ასეთი ერთგულებისთვის ეს „მშვიდობიანობის მკველნი“ ერთგულთ შეუდგენ თავიანთ მოკვლეობის ასრულებას: დღე ისე არ გავა, რომ ვინმე არ დაიჭიროს, ან არ გალახონ. ენკენისთვის ნ-ს ამ გათამამებულმა ვაჟბატონებმა საზიზღარი მკველლობაც ვი ჩაიდინეს: სრულიად უდანაშაულოთ, უმიზეზო სიძოცხესეს გაპოასალმეს სულ ასაღვანდა, 18 წლის, უმწკვილე ქა-

რბაჟი. გამოიძიება გათავდა, მაგრამ ჯერ სწავლიდა არაფერ უსლას მათთვის. ასეთი შემთხვევა ეს შესუთით არის, რომ სწება ქუთაისის მარაში და კიდევ უფრო გახშირდება, თუ უურადდება არ მიატყეს, ვისიც ჯერ არს.

აქ გაიხსნა ქალების პირველ დაწყებითი შკოლა, რომელშიაც, წერა-კითხვისა და სხვა საგნების გარდა, ასწავლიან ჭრა-კერვასაც. დიდი მადლობის ღირსია ამ შკოლის დამაარსებელი ქ. ბ. დიდიას. გუსურგებთ მას წარმატებას ასეთ სიმპატიურს და სასარგებლო საქმეში.

რწმუნებულთა არჩევნები გლეხთა კურიაში გათავდა 7 ენკენისთვის. ეველა არჩეული რწმუნებულები, რიცხვით 12 კაცი (მთელს ბაღდათს უბანში) ს. დ. მომხრენი არიან.

8 ენკენისთვის დიდ ძალი სალხის თანხდასწრებით გადასდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებული მგოსნის ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლათ. დამწრათა უძრავლესობამ გადასწვიტა ილიას სახელობასე განზრახული ფონდის გასაძლეურებლათ შეაგროვოს ფული.

გ. ობჩელი

წერალი რედაქციის მიმართ.

გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, საზოგადოების გასაფრთხილებლათ, ეს წერილი დამიბეჭდოთ:

14 მარამობისთვის, დილის 9 საათზე, კბილის ტკივილით ძალზე შეწუხებული ავთმყოფი მივიყვანე კბილის ექიმ ბ. მახარაშვილთან. ექიმს კაბინეტში პაციენტი უკვე მიღებული ყავდა და ერთი ჩემი კარგი ნაცნობიც მისაღებ ოთახში უტყდიდა. ჩვენც დავემორჩილეთ ბედს და შევეუდქით ცდას, მაგრამ წუთები საათებთ ვადაგვექცა: ავთმყოფს ტკივილისაგან გული უღონდებოდა და წაბდაუწუმ წყლით ვაბრუნებდით; როგორც იყო ვედირსეთ ექიმის გათავისუფლებას და მივაშურეთ კაბინეტის კარებს, მაგრამ ჩვენდა საუბედურათ შევევით თუ არა, ბ. მახარაშვილმა ღრიალით უკან გამოგვყარა. ჩვენ ვთხოვეთ, რომ ჯერ ჩვენი ავთმყოფი მიედო, როგორც მეტათ შეწუხებული, თანხმათ მისივე განცხადებისა, რომელიც კარებზე აქვს გაკრული, მაგრამ ბ. მახარაშვილის უგრძობელი გული შებრალებისაკენ ვერ გადაეხარეთ. მერე იცით, მკითხველო, ვინ მიიღო ჩვენს მაგიერ?! ის, ვინც ჩვენს შემდეგ მოვიდა და რომელიც მაგიდასთან გაზეთის კითხვით ერთობოდა. რაღა დავგრჩებოდა იმის მეტი, რომ ამ გულქვა ადამიანისათვის ზურგი შეგვექცია და წამოვსულიყავით.

მე ამ შეურაცხყოფას როგორც იქნება მოვინებებ მაგრამ ასეთი საქციელი, რომელიც პირველი არ არის, ჩვენ ვფიქრობთ, საზოგადოებას არ მიუზიდავს.

დ. ვ—ძე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. კოხრეიძე.

